ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0323074119-03
თარიღი: 15.03.2023 19:54
ვადა: 17.04.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01230743913 განცხადების თარიღი: 15.03.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს დადგენილებების პროექტების გაგზავნის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0323074119-03
15.03.2023 : 19:54
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01230743913**
თარიღი: **15/03/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტებს:

ა) „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

გ) „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

დ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ამასთან, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული პროექტების მოწონების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის №23.339.386 განკარგულებას.

დანართი: 96 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 23.339.386
15 / მარტი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი დადგენილებების პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, 64-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, 75–ე მუხლის „ბ.ა", „დ.გ" და „ე.გ[1]" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს:

ა) „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 4-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

<u>**დანართი 1**</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2023 წლის -- ---------- **ქ. თბილისი**

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 27/07/2018; სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016526) შევიდეს ცვლილება და დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“.

2. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „$ვ^5$“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ე.$გ^1$“, „ე.$ვ^1$“ და „ე.$ე^5$“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 11^1 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „$ა^1$“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 5^2 მუხლის 2^1 პუნქტის, 5^6 მუხლის პირველი პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის,

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:“.**

3. პირველი-მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს ერთ კალენდარულ დღეში 0,27 ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს ერთ კალენდარულ დღეში 0,13 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი განისაზღვროს ერთ კალენდარულ დღეში 3 ლარის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ნებართვაზე არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება ან/და მძღოლი.

4. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “B” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “B” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.

6. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვაში ნებისმიერი ცვლილების (ნებართვის მფლობელის, უფლებამოსილი მძღოლის და ავტოსატრანსპორტო საშუალების) განხორციელება შესაძლებელია ნებართვის მფლობელის მიერ 20 ლარის გადახდის შემთხვევაში.

7. ამ მუხლის პირველი-მე-6 პუნქტებით დადგენილი თანხები ჩაირიცხოს სახაზინო კოდზე 300773103.

მუხლი 2

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” და “B” კატეგორიების ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გათავისუფლდეს ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მხოლოდ ელექტროძრავა აქვს და რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია.

მუხლი 3

დამტკიცდეს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ თანდართული წესი.

მუხლი 4

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის მომსახურების განხორციელება „A” ან/და „B” კატეგორიის ნებართვის გარეშე ან ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო კონტროლის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

მუხლი 5

1. ფიზიკურ პირს, რომელიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდა საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით ,,ერთ პირს - ერთი ნებართვა“, ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge მეშვეობით უსასყიდლოდ გადაეცეს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის უვადო ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირს „A“ კატეგორიის ნებართვის გააქტიურების უფლება აქვს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველი აპრილამდე, ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ამ პირს შეუწყდეს ნებართვის გააქტიურების უფლება.

3. 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ნებართვები აღარ გაიცეს, ხოლო 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ძალაში რჩება შესაბამისი ვადით.

4. 2023 წლის 20 მარტიდან 2023 წლის პირველ აპრილამდე შეჩერდეს „B“ კატეგორიის ნებართვების გაცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდეს „B“ კატეგორიის ნებართვების გაცემა ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

5. იურიდიულ პირებზე „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის პირველი ივლისიდან.“.

4. დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული წესი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემული ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ამასთანავე, გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

მუხლი 3.

1. დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლით ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა ამოქმედდეს 2023 წლის პირველი აპრილიდან.

2. დადგენილების პირველი მუხლით ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2023 წლის 20 მარტიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, „A" და „B" კატეგორიების ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად ან/და ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გზაზე ბუქსირებისათვის;

ბ) ერთიანი საინფორმაციო ბაზა – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა, რომელზეც წვდომა აქვს ნებართვის გამცემს და სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ პირებს;

გ) M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ" შემაჯამებელი რეზოლუციის" შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალება (ან საშუალების კატეგორია), რომელიც განკუთვნილია არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად;

დ) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა – დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი მსუბუქი ავტომობილით მგზავრის გადაყვანა ან/და ბარგის გადაზიდვა;

ე) მძღოლი – ფიზიკური პირი, რომელიც M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავს შესაბამისი კატეგორიის მართვის უფლებით.

ვ) ნებართვა – ნებართვის მაძიებლისათვის ნებართვის გამცემის მიერ ელექტრონული მისამართით: www.taxi.tbilisi.gov.ge მინიჭებული უფლება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ვადით განახორციელოს მომსახურება საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია). ნებართვა არის:

ვ.ა) „A" კატეგორიის – გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, თუ იგი დააკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს;

ვ.ბ) „B“ კატეგორიის – გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, თუ იგი დააკმაყოფილებს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს;

ზ) ნებართვის გამცემი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (შემდგომში - სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო);

თ) ნებართვის მაძიებელი – ნებართვის მიღების მსურველი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ი) ნებართვის მფლობელი - პირი, რომელსაც ნებართვის გამცემის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული უფლებამოსილება ან „A” კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში პირი, რომელსაც სხვა ნებართვის მფლობელი პირის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება. აღნიშნული გენერირდება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge;

კ) ნებართვის გაცემის ფასი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ფასი მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე;

ლ) მომხმარებლის პირადი სივრცე - ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.ge რეგისტრაციის საფუძველზე შექმნილი პირადი სივრცე, რომლის გამოყენებით ნებართვის მაძიებელი იღებს ნებართვას ან ნებართვის მფლობელი მართავს კუთვნილ ნებართვას/ნებართვებს;

მ) პირი – ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილია ფლობდეს არაუმეტეს “A” კატეგორიის სამ ნებართვას, აგრეთვე „B” კატეგორიის ნებართვას ამ წესის შესაბამისად ან იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია ფლობდეს იმდენ ნებართვას, მის საკუთრებაში არსებული რამდენი სატრანსპორტო საშუალებაც აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს;

ნ) სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი;

ო) სანებართვო პირობები – კანონით ან კანონის საფუძველზე, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

პ) ტაქსი - არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლითაც “A” ან “B” კატეგორიის ნებართვებისათვის დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად ხორციელდება მგზავრის გადაყვანა ან/და ბარგის გადაზიდვა;

ჟ) უწყებრივი სანებართვო რეესტრი – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების თაობაზე, რომელიც აისახება ელექტრონულად ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge.

მუხლი 3. „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის წესი

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია „A“ კატეგორიის ნებართვის მიღება ამ წესის შესაბამისად.

2. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს სხვა პირს გადასცეს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება.

3. პირს, რომელიც არ არის ნებართვის მფლობელი, შეუძლია დარეგისტრირდეს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირად სივრცეში „A“ კატეგორიის ნებართვის შეძენის ან სარგებლობაში მიღების მიზნით.

4. ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა ელექტრონული განცხადება უნდა შეავსოს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge.

5. ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირი სისტემაში რეგისტრაციისას ელექტრონულ მისამართზე გაივლის შემდეგ პროცედურას:

ა) ეთანხმება სისტემის მიერ შეთავაზებულ წესებს და პირობებს;

ბ) იწყებს ელექტრონულ მისამართზე რეგისტრაციას, შეჰყავს პირადი ნომერი და გვარი, რა დროსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (შემდგომში - სსგს) მოდის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

გ) შესაბამის ველში შეჰყავს მობილური ტელეფონის ნომერი და ამ ნომერზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

დ) შესაბამის ველში შეჰყავს პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი და აღნიშნულ მისამართზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

ე) შესაბამის ველში შეჰყავს პაროლი, რის შემდეგ სრულდება რეგისტრაციის პროცედურა;

ვ) რეგისტრაციის შემდეგ გადის ავტორიზაციას და სისტემა უხსნის მომხმარებლის პირად სივრცეს;

ზ) სისტემაში შესვლისას აუცილებელია საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობით/საქართველოში მცხოვრები უცხოელის მუდმივი/დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობით ერთჯერადად ავთენტიფიკაციის გავლა პერსონალური ავთენტიფიკაციის კოდით.

6. ნებართვის მაძიებელი იურიდიული პირი ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისას გაივლის შემდეგ პროცედურას:

ა) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერში ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გადის რეგისტრაციას ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ბ) უთითებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რა დროსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოდის საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი.

7. რეგისტრაციის გავლის შემდეგ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი მომხმარებლის პირადი სივრცით შეძლებს მართოს პირადი ან/და ორგანიზაციის ნებართვა/ნებართვები და ამასთან მას შესაძლებლობა აქვს მომხმარებლის პირად სივრცეში დაამატოს იურიდიული პირის წარმომადგენელი (რომელიც გადის რეგისტრაციას ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად), რომელზეც გადადის ყველა ის უფლება, რაც იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს აქვს.

მუხლი 4. „B“ კატეგორიის ნებართვის გაცემის წესი

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია „B“ კატეგორიის ნებართვის მიღება ამ წესის შესაბამისად.

2. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ფიზიკურ პირზე.

3. ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა ელექტრონული განცხადება უნდა შეავსოს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge.

4. „B“ კატეგორიის ნებართვის მაძიებელი ელექტრონული განცხადების შევსებისას ელექტრონულ მისამართზე გაივლის შემდეგ პროცედურას:

ა) ეთანხმება სისტემის მიერ შეთავაზებულ წესებს და პირობებს;

ბ) იწყებს ელექტრონულ მისამართზე რეგისტრაციას, შეჰყავს პირადი ნომერი და გვარი, რა დროსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოდან (შემდგომში - სსგს) მოდის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

გ) შესაბამის ველში შეჰყავს მობილური ტელეფონის ნომერი და ამ ნომერზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

დ) შესაბამის ველში შეჰყავს პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი და აღნიშნულ მისამართზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

ე) შესაბამის ველში შეჰყავს პაროლი, რის შემდეგ სრულდება რეგისტრაციის პროცედურა;

ვ) რეგისტრაციის შემდეგ, გადის ავტორიზაციას და სისტემა უხსნის მომხმარებლის პირად სივრცეს;

ზ) სისტემაში შესვლისას აუცილებელია საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობით/საქართველოში მცხოვრები უცხოელის მუდმივი/დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობით ერთჯერადად ავთენტიფიკაციის გავლა, პერსონალური ავთენტიფიკაციის კოდით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი არ არის იმ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, რომლითაც სურს განახორციელოს გადაყვანა, მაშინ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებლის პირად სივრცეში ასახულ სატრანსპორტო საშუალებაზე განსაზღვრული ინსტრუმენტით ქმნის სპეციალურ უნიკალურ კოდს, რომელსაც გადასცემს ნებართვის მაძიებელს. ნებართვის მაძიებელი, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქმნის მომხმარებლის პირად სივრცეს, შემდეგ სისტემაში არსებული შესაბამისი ფორმის გამოყენებით უთითებს სპეციალურ უნიკალურ კოდს და ავტოსატრანსპორტო საშუალება აისახება სისტემაში.

6. თუ სატრანსპორტო საშუალებაზე ნებართვა უკვე გაცემულია, ყოველმა პირმა, რომელსაც სურვილი აქვს იყოს უფლებამოსილი მგზავრთა გადაყვანაზე ამ სატრანსპორტო საშუალებით, რეგისტრაცია უნდა გაიაროს ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და უკვე გაცემული ნებართვის მოქმედების ვადით შეუძლია გახდეს მგზავრთა გადაყვანაზე უფლებამოსილი პირი იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და არის ამ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან გააჩნია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის თანხმობა.

7. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს „A“ კატეგორიის ნებართვა აიღოს თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

8. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელ ფიზიკურ პირს სურვილის შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს „B“ კატეგორიის ნებართვით ნებართვის გაცემის ფასის გადახდის გარეშე და ამ კატეგორიის ნებართვით მგზავრთა გადაყვანისას იგი უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ „B“ კატეგორიისთვის ნებადართული ამ წესით განსაზღვრული პირობები.

9. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მსუბუქ ავტომობილს – ტაქსს (M_1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ;

ბ) მსუბუქ ავტომობილს – ტაქსს (M_1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, აქვს ოთხი თვალი და 5 კარი.

10. განცხადების ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge შევსებისას, ნებართვის მაძიებელი შესაბამის ველში უთითებს, რომ სურს მასზე გაიცეს „B“ კატეგორიის ნებართვა.

11. ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია გაიცეს როგორც „A“, ისე „B“ კატეგორიის ნებართვა.

12. ნებართვა, ამ წესის შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მიმღებს გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და მის მიერ დაცულია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 5. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის მიერ მომხმარებლის პირადი სივრცის მართვა

1. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის გააქტიურების შემდეგ, უფლებამოსილია ნებართვაზე დაამატოს სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) სატრანსპორტო საშუალება არის თეთრი ფერის;

ბ) სატრანსპორტო საშუალება არის ამ წესის დანართ 4-თან შესაბამისობაში;

გ) სატრანსპორტო საშუალებას საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ;

დ) სატრანსპორტო საშუალებას აქვს ოთხი თვალი და 5 კარი.

2. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის გააქტიურების შემდეგ, უფლებამოსილია ნებართვაზე დაამატოს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი/მძღოლები.

3. ფიზიკურ პირს შეუძლია ფლობდეს „A“ კატეგორიის მხოლოდ 3 (სამ) ნებართვას.

4. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის მიერ ერთ ნებართვაზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების დამატება, ხოლო ამ სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე შეუზღუდავი რაოდენობის მძღოლების დამატება.

5. იურიდიულ პირს შეუძლია ფლობდეს „A“ კატეგორიის იმდენ ნებართვას, მის საკუთრებაში არსებული რამდენი სატრანსპორტო საშუალებაც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

6. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირი იმ შემთხვევაში შეძლებს ახალი ნებართვის შეძენას, როდესაც ყველა მის მფლობელობაში არსებულ ნებართვაზე დამატებული ეყოლება მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება.

7. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის მიერ ერთ ნებართვაზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების დამატება, ხოლო ამ სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე შეუზღუდავი რაოდენობის მძღოლების დამატება.

8. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელ პირს შეუძლია სხვის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება დაამატოს ნებართვას, სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ელექტრონული სისტემის მიერ გაგზავნილი კოდის მითითების შემთხვევაში.

9. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი პირი უფლებამოსილია კუთვნილი ნებართვა:

ა) მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით განათავსოს გასხვისების მიზნით ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge;

ბ) გადასცეს სარგებლობის (იჯარა, ქირავნობა) უფლებით ან/და უფლებრივად დატვირთოს (გირავნობა);

გ) განკარგოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესისა და პირობების შესაბამისად.

10. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი პირი უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ნებართვაში (შეცვალოს ნებართვის მფლობელი, უფლებამოსილი მძღოლი, ავტოსატრანსპორტო საშუალება და ა.შ.) და თითოეული ინფორმაციის ცვლილებისას იგი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საფასური ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით, რის შემდეგ 24:00 საათზე ელექტრონული საიტის მეშვეობით განხორციელდება ზემოაღნიშნული ცვლილება.

11. შესაბამისი ელექტრონული სისტემა ყოველდღიურად დაითვლის „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის მიერ გადასახდელ ნებართვის გაცემის ფასს, ხოლო ყოველი თვის პირველ დღეს ნებართვის მფლობელს, მომხმარებლის პირად სივრცეში, გამოუჩნდება წინა თვის გადასახდელი თანხა. ნებართვის მფლობელი ვალდებულია წინა თვის ნებართვის გაცემის ფასი

სრულად გადაიხადოს ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 7 რიცხვისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახდის ბოლო დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე ან დასვენების დღეს. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გაცემის ფასი გადაიხადოს მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს. ნებართვის გაცემის ფასის ზემოაღნიშნულ ვადაში გადაუხდელობა იწვევს პირის დაჯარიმებას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნებართვის გაუქმებას. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877) ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო თვის პირველი რიცხვისა, ნებართვის მფლობელს, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე, გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება წინა თვის გადასახდელი ნებართვის გადახდის ფასის ოდენობაზე.

12. ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უსასყიდლოდ გადაცემული ნებართვების გააქტიურების შემდეგ, ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვის გააქტიურების თვის გადასახდელი ნებართვის გაცემის ფასი დაანგარიშდება შემდეგი კალენდარული თვის გადასახდელ თანხასთან ერთად და გადახდა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 6. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილები და პირობები

1. გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და იგი უზრუნველყოფილია ამავე კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნით, დასაშვებია მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა.

2. დაუშვებელია “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა იმ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში, სადაც M_2 და M_3 კატეგორიების ავტობუსებისა და სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის მოძრაობა საპირისპირო მიმართულებისაა.

3. “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგი არ შეაფერხებს, არ გააძნელებს ან არ დააბრკოლებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას.

4. “A” კატეგორიის ნებართვის მფლობელს, რომელსაც იმავდროულად აქვს „B“ კატეგორიის ნებართვა და მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანას ახორციელებს „B“ კატეგორიის ნებართვის საფუძველზე, არ აქვს უფლება ისარგებლოს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლით.

მუხლი 7. „A“ კატეგორიის ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალების და მძღოლის მოხსნა

1. „A“ კატეგორიის ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალება შეიძლება მოიხსნას:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნისას;

ბ) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მოთხოვნისას, ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებაზე დამატებული მძღოლი/მძღოლები არ იხსნება;

გ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის გარდაცვალებისას (ლიკვიდაციისას);

დ) თუ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ე) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ცვლილებისას;

ვ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისას;

ზ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნისას;

თ) თუ სატრანსპორტო საშუალებაზე კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გავლილი ტექნიკური ინსპექტირება ტაქსებისთვის დადგენილი პერიოდულობით ან ამ პერიოდულობის გავლამდე დაუფიქსირდა ტექნიკური ინსპექტირების გავლა, რომელიც დადებითად არ არის გავლილი.

2. „A“ კატეგორიის ნებართვიდან მძღოლი შეიძლება მოიხსნას:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნისას;

ბ) ნებართვაში დამატებული მძღოლის მოთხოვნისას, ამასთან, ამ შემთხვევაში დამატებული სატრანსპორტო საშუალება არ იხსნება;

გ) თუ ნებართვაში დამატებულ მძღოლს აღარ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება (მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტის (გაუქმების) გამო);

დ) ნებართვაში დამატებული მძღოლის გარდაცვალებისას;

ე) ნებართვის მფლობელის მოთხოვნისას ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების მოხსნისას.

3. ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალების და მძღოლის მოხსნა ეცნობება ელექტრონულად ნებართვის მფლობელს მომხმარებლის პირად სივრცეში, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით და ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 8. ელექტრონული მისამართით მომსახურების უზრუნველყოფა

1. ელექტრონული მისამართის (www.taxi.tbilisi.gov.ge) გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877).

2. ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის პირადი მონაცემების მიღებას სსგს-დან ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, სსგს-სთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ნებართვის გაცემისთვის/გაუქმებისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის (არსებობის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, ტიპი, მოდელი, გამოშვების წელი, ფერი, საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასაჯდომი ადგილების რაოდენობა მძღოლის ადგილის ჩათვლით და სატრანსპორტო საშუალების მასასთან დაკავშირებული მონაცემები და სხვა), ნებართვის მაძიებლის/მფლობელის/მძღოლის მართვის მოწმობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, ასევე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილების შესახებ მონაცემების მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, მომსახურების სააგენტოსთან და სამინისტროსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე.

4. ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის პირადი მონაცემების მიღებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

5. გასასხვისებელი ან სარგებლობის უფლებით გადასაცემი „A“ კატეგორიის ნებართვა უნდა განთავსდეს ელექტრონულ მისამართზე www.taxi.tbilisi.gov.ge და მისი ნახვა და ნებართვის შეძენა/სარგებლობის უფლებით მიღება შეეძლება მხოლოდ დარეგისტრირებულ ნებართვის მაძიებელს, მისი მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით და გასხვისებისას ნებართვის მფლობელის ცვლილება, ხოლო სარგებლობის უფლებით გადაცემისას ნებართვაში შესაბამისი

უფლების რეგისტრაცია განხორციელდება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/ნ 405026877) მიერ ელექტრონულად იმავე დღის 24:00 საათზე.

6. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877), ამოწმებს თითოეულ ნებართვაზე მიბმული სატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს თუ არა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ პირობებს. თუ სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, იგი მოიხსნება ნებართვიდან.

7. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877) ვალდებულია ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ცვლილება განახორციელოს 24:00 საათზე.

8. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877) ვალდებულია ნებართვების მფლობელებს მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ელექტრონულ ფოსტაზე წერილები ნებართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 9. ნებართვის გაცემა, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, განახლება და დამუშავება

1. „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვები გაიცემა ნებართვის მაძიებელზე ელექტრონული ფორმით.

2. „A“ კატეგორიის ნებართვაში შესაძლებელია ნებართვის მფლობელის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელის მიერ სრულად გადახდილია როგორც ნებართვის გაცემის ფასი, ისე ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მის მიერ მომხმარებლის პირად სივრცეში გამოვლენილია ნებართვის სხვის მფლობელობაში გადაცემის ნება.

3. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებლის საკუთარი მომხმარებლის პირად სივრცეში რეგისტრაციისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

4. გაცემული ნებართვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას, განახლებას და დამუშავებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877).

5. ერთიან საინფორმაციო ბაზაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემები „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების მფლობელების შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის და მძღოლის მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი ადგილი;

ბ) „A“ კატეგორიის ნებართვაზე მიმაგრებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი და მძღოლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) იმ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი და ძრავას საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაცემულია B“ კატეგორიის ნებართვა;

დ) „A“ და „B“ კატეგორიების სანებართვო მოწმობების ნომრები, გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა და სტატუსი;

ე) ნებართვის სახე (მიეთითება ნებართვის კატეგორია: „A“ ან „B“);

ვ) ნებართვის მფლობელის მიმართ შედგენილ საჯარიმო ქვითარში არსებული ინფორმაცია, მათ შორის, დარღვევის არსის მითითებით.

6. ერთიან საინფორმაციო ბაზაში ნებართვის შესახებ ან/და სანებართვო პირობების დარღვევისთვის ნებართვის მფლობელისთვის შედგენილი საჯარიმო ქვითრის შესახებ ინფორმაციები უნდა აისახოს დაუყოვნებლივ.

მუხლი 10. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეუძლია ნებართვის გამცემს, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილ შემთხვევებში.

2. ნებართვის გამცემი არ გასცემს „B“ კატეგორიის ნებართვას, თუ ნებართვის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის წინასწარ არ გადაიხდის ნებართვის გაცემის ფასს, გადახდილი ნებართვის გაცემის ფასი არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 11. სანებართვო პირობები

1. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) მომსახურების გაწევა განახორციელოს ნებართვაში დამატებული სატრანსპორტო საშუალებით და მძღოლ(ებ)ით;

ბ) მომსახურების გაწევისას გამოიყენოს ამ წესის დანართი 6-ით გათვალისწინებული ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის მანათობელი ნიშანი მასზე დატანილი შავი ფერის წარწერით „TAXI თბილისი“ (შემდგომში – მანათობელი ნიშანი);

გ) მომსახურების გაწევისას მანათობელი ნიშანი განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილის (სახურავის) შუა ადგილზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა), რა დროსაც მანათობელი ნიშანი შეიძლება განთავსდეს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილზე (სახურავზე);

დ) სანებართვო საქმიანობის განხორციელებისას, მანათობელ ნიშანზე ჩართული იყოს მწვანე ფერი იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი არ ჰყავს, ხოლო წითელი ფერი იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი ჰყავს ან გამოძახებულია მგზავრის მიერ. ამასთან, თუ არ ახორციელებს სანებართვო საქმიანობას, მანათობელი ნიშანი უნდა ჰქონდეს გამორთულ მდგომარეობაში;

ე) მომსახურების გაწევისას სატრანსპორტო საშუალება ვიზუალური შემოწმებით უნდა აკმაყოფილებდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ისე რომ შემმოწმებელი ახდენდეს დადგენილ მოთხოვნებთან აშკარა და ვიზუალურად ნათლად გამოკვეთილი შეუსაბამობის იდენტიფიცირებას, რომლის აღქმაც შესაძლებელია ნებისმიერი პირის მიერ და დაკავშირებული არ არის სპეციალურ/ექსპერტულ ცოდნასთან. ამასთან, ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების ძარის ყველა ელემენტი, მათ შორის ბამპერი უნდა იყოს თეთრი ფერის, გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა);

ვ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე ამ წესის დანართი 4-ით და დანართი 5-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა მსუბუქ ავტომობილზე – ტაქსზე (M_1 კატეგორია) არ ჰქონდეს სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (მათ შორის: მუნიციპალიტეტის, ქალაქის, რაიონის, ქუჩის აღმნიშვნელი და სხვა);

ზ) უზრუნველყოს ამ წესით დანართი 7-ით დამტკიცებული მძღოლის მოწმობის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ;

თ) რეკლამა განათავსოს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, ამ წესის დანართი 5-ის შესაბამისად განსაზღვრულ ადგილებზე;

ი) შეასრულოს მსუბუქ ავტომობილში – ტაქსში (M_1 კატეგორია) დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები;

კ) გადაიხადოს ნებართვის გაცემის ფასი ამ წესის შესაბამისად;

ლ) მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით უფლებამოსილია იმოძრაოს იმ გზაზე, რომელიც დადგენილია ამ წესის შესაბამისად და სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის

განკუთვნილი ზოლია, ამასთან, როგორც წესი, უზრუნველყოფილია ამავე კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნით.

2. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) უზრუნველყოს ამ წესით დანართი 8-ით დამტკიცებული მძღოლის მოწმობის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ;

ბ) უზრუნველყოს მხოლოდ იმ მგზავრის აყვანა, რომლის მომსახურების მიზნით მივიდა გამოძახების ადგილზე;

გ) შეასრულოს მსუბუქ ავტომობილში – ტაქსში (M_1 კატეგორია) დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები.

3. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება სატრანსპორტო საშუალებაზე/საშუალებაში ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება რეკლამის განთავსება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვაში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებაზე იმავდროულად გაცემულია „A“ კატეგორიის ნებართვაც.

4. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, დარღვეული სანებართვო პირობა უნდა გამოსწორდეს 72 საათის ვადაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა, რა დროსაც დარღვეული სანებართვო პირობა უნდა გამოსწორდეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

5. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელისთვის მანათობელი ნიშნის გაცემა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგენილი წესით და გაცემის საფასური განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერვე.

6. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულების ვალდებულება.

მუხლი 12. ნებართვის მფლობელის უფლება-მოვალეობები

1. ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

ა) ნებართვის გამცემს წარუდგინოს წინადადებები მომსახურების უკეთესად ორგანიზების შესახებ;

ბ) „A“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში გაასხვისოს, სარგებლობის უფლებით გადასცეს (იჯარა, ქირავნობა), უფლებრივად დატვირთოს (გირავნობა) ნებართვა;

გ) ისარგებლოს მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებით.

2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ წესით დადგენილი სანებართვო პირობ(ებ)ი;

ბ) დარღვეული სანებართვო პირობა გამოასწოროს ამ წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში, ხოლო გამოუსწორებლობისას:

ბ.ა) დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას;

ბ.ბ) გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება გამოსწორებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმა გასამმაგდება და ნებართვის მფლობელს ისევ განესაზღვრება დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ვადა;

ბ.გ) სამმაგი ჯარიმის გასამმაგების დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობის შესრულება, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიიღოს ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება, ხოლო მასზე დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებაში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა;

დ) არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა;

ე) არ მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საგნების გადაზიდვა;

ვ) არ დაუშვას მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხმა ტაქსის მარცხენა მხარეს განლაგებული კარებიდან;

ზ) არ მოახდინოს მგზავრ(ებ)თან შეთანხმების გარეშე სხვა მგზავრ(ებ)ის გადაყვანა;

თ) ტაქსის სალონში ან/და საბარგულში დარჩენილი ნივთები ჩააბაროს დაკარგული ნივთების ბიუროში ან შესაბამისი რაიონის პოლიციაში;

ი) ხელი შეუწყოს კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს მუშაობაში;

კ) წარუდგინოს ნებართვის გამცემს ყველა საჭირო ინფორმაცია ნებართვის გამოყენების შესახებ ნებართვის გამცემის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 13. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობები

ნებართვის გამცემი:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და ამ წესის შესაბამისად გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას;

ბ) აწარმოებს უწყებრივ სანებართვო რეესტრს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას;

დ) „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის სურვილის შემთხვევაში შეიტანს შესაბამის ცვლილებას ნებართვაში, თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე შეცვლის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს);

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ წესის შესაბამისად ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობ(ებ)ის შესრულებაზე;

ვ) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს აეროპორტთან, სადგურებთან და სავაჭრო ცენტრებთან (კომერციულ ობიექტებთან) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) გასაჩერებელ ადგილს, მხოლოდ „A“ კატეგორიის ნებართვების მფლობელებისთვის.

ზ) ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევისას მოქმედებს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. სანებართვო მოწმობაში ცვლილების განხორციელება

1. „A“ კატეგორიის სანებართვო მოწმობაში ნებისმიერი მონაცემის (ნებართვის მფლობელის, უფლებამოსილი მძღოლის და ავტოსატრანსპორტო საშუალების) ცვლილების განხორციელება დასაშვებია და საფასური თითოეული ცვლილებისათვის განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით.

2. სანებართვო მოწმობაში ცვლილება განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნებართვის მფლობელს არ აქვს ნებართვის გაცემის ფასის დავალიანება.

მუხლი 15. ნებართვის მოქმედების ვადა

1. „A“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა უვადოდ.

2. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, ერთი წლის ვადით.

3. ნებართვები ძალაშია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათ გაუქმებამდე.

მუხლი 16. სანებართვო და მძღოლის მოწმობების ფორმები და რეკვიზიტები

1. „A“ კატეგორიის სანებართვო მოწმობის ფორმა ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირისთვის განისაზღვრება ამ წესის დანართი 1-ის შესაბამისად.

2. „A“ კატეგორიის სანებართვო მოწმობის ფორმა ნებართვის მფლობელი იურიდიული პირისთვის განისაზღვრება ამ წესის დანართი 2-ის შესაბამისად.

3. „B“ კატეგორიის სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად.

4. „A“ კატეგორიის ნებართვით მგზავრთა მომსახურებისას სატრანსპორტო საშუალებაში განსათავსებელი მძღოლის მოწმობის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 7-ის შესაბამისად.

5. „B“ კატეგორიის ნებართვით მგზავრთა მომსახურებისას სატრანსპორტო საშუალებაში განსათავსებელი მძღოლის მოწმობის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 8-ის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ფორმები დატანილი უნდა იქნას A5 ფორმატის ზომის ქაღალდზე.

მუხლი 17. ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი

ნებართვის გაცემის ფასი „A“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში გადაიხდევინება ამ წესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ხოლო „B“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში - ნებართვის გაცემამდე, სისტემაში შექმნილი ინვოისების საფუძველზე.

მუხლი 18. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებენ ნებართვის გამცემი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^4 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილნი არიან კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელონ შემოწმება;

ბ) სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელონ შემოწმება. ამასთან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა;

გ) დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობისას ასამმაგებენ დაკისრებულ ჯარიმას. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმა უფლებამოსილი პირების მიერ გასამმაგდება და ნებართვის მფლობელს ისევ განესაზღვრება დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ამ წესით დადგენილი ვადა. გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილებას, ხოლო დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება და ჯარიმის ან/და საურავის აღსრულება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო:

ა) „A“ კატეგორიის უვადო ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალებიდან არაუმეტეს 1 წლის (გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა) განმავლობაში, მემკვიდრის მიერ სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, განიხილავს მას

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ მემკვიდრეს გაუაქტიურებს უვადო ნებართვას;

ბ) ელექტრონულ მისამართზე www.taxi.tbilisi.gov.ge არსებული ინფორმაციის საფუძველზე გასცემს მოთხოვნილ ინფორმაციას, ცნობას და სხვა დოკუმენტაციას (გარდა ფინანსური ნაწილისა) კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ნებართვის მაძიებლების ან ნებართვის მფლობელების მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს მათთან შეხვედრებს;

დ) უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში და ახორციელებს წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

ე) უზრუნველყოფს უწყებრივი სანებართვო რეესტრიდან მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის გაცემას და „B” კატეგორიის ნებართვის მფლობელის სურვილის შემთხვევაში საფასურის გადახდის გარეშე, შესაბამის ნებართვაში შეიტანს ცვლილებას, თუ მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე შეცვლის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს);

ვ) სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში ადგენს საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება:

ვ.ა) დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე ინფორმაციის სამართალდამრღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია;

ვ.ბ) საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული თანხის შეღავათით სარგებლობისა და გადახდის პროცესების მართვა;

ვ.გ) სამართალდამრღვევი პირისთვის საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაგზავნისა და ჩაბარების პროცესის მართვა;

ვ.დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების პროცესის მართვა;

ვ.ე) საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას საქმის გადაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში;

ვ.ვ) სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმისა ან/და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ.ზ) საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვითრის აღსრულების მოქმედების შეჩერება;

ზ) უფლებამოსილია შეადგინოს საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა), რომელიც დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, აისახება ზემოაღნიშნულ სისტემაში.

4. სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ი საჩივრდება სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. „A“ კატეგორიის ნებართვა უქმდება:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნით;

ბ) სანებართვო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის;

გ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალების (ლიკვიდაციის), დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ნებართვის მფლობელისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

3. „B“ კატეგორიის ნებართვა ვადის გასვლამდე უქმდება:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალების, დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) თუ ნებართვის მფლობელს აღარ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება (მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტის (გაუქმების) გამო). ამ შემთხვევაში ნებართვის გამცემი ვალდებულია უფლებამოსილი ორგანოდან აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე უზრუნველყოს ნებართვის გაუქმება მხოლოდ ამ ნებართვის მფლობელისთვის;

დ) თუ ნებართვის მფლობელი აღარ არის იმ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, რომელზეც გაიცა ნებართვა;

ე) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისას, როდესაც იცვლება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე;

ვ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის შემთხვევაში;

ზ) სანებართვო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის;

თ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

ი) თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე გააუქმებს ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მის თანხმობას იმავე წესით, რითაც თანხმობას აცხადებს, ან სატრანსპორტო საშუალება აღარ იქნება მის საკუთრებაში;

კ) თუ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია ნებართვა და კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს გავლილი ტექნიკური ინსპექტირება ტაქსებისთვის დადგენილი პერიოდულობით ან ამ პერიოდულობის გავლამდე დაუფიქსირდა ტექნიკური ინსპექტირების გავლა, რომელიც დადებითად არ არის გავლილი;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის შემდეგ, სატრანსპორტო საშუალება ტექნიკურ ინსპექტირებას ექვემდებარება ტაქსისთვის დადგენილი პერიოდულობით, რომლის ათვლაც დაიწყება ზემოაღნიშნული ნებართვის გაცემის დღიდან. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს უუქმდება ნებართვა.

5. სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც ფიქსირდება საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის „B“ კატეგორიის ნებართვა, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის თაობაზე მოწმდება

ყოველდღიურად ელექტრონულად 24:00 საათზე. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებას არ უფიქსირდება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითად გავლა, ასევე როდესაც გასულია ტაქსებისთვის განსაზღვრული პერიოდი, ელექტრონული სისტემის მიერ ხდება ნებართვის გაუქმება ელექტრონულად.

6. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დარღვეული სანებართვო პირობა გამოასწოროს ამ წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში, ხოლო გამოუსწორებლობისას:

ბ.ა) დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას;

ბ.ბ) გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება გამოსწორებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმა გასამმაგდება და ნებართვის მფლობელს ისევ განესაზღვრება დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ვადა;

ბ.გ) სამმაგი ჯარიმის გასამმაგების დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობის შესრულება, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიიღოს ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება, ხოლო მასზე დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ნებართვის გაუქმება ელექტრონულად ფორმდება მისი გამცემის მიერ ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge და ნებართვის მფლობელს ეცნობება მომხმარებლის პირად სივრცეში, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექტური შეტყობინებით და ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 20. უწყებრივი სანებართვო რეესტრი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. უწყებრივ სანებართვო რეესტრს აწარმოებს ნებართვის გამცემი.

2. ნებართვის გამცემს ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი გაუქმების შესახებ მონაცემები გადაწყვეტილების მიღებიდან მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

3. უწყებრივ სანებართვო რეესტრში ასევე შეიტანება:

ა) მონაცემები ნებართვის მფლობელის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი და მძღოლის მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი ადგილი;

ბ) იმ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი, რომელზეც გაცემულია ნებართვა;

გ) სანებართვო მოწმობის ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა;

დ) ნებართვის სახე.

4. ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა უნებართვო საქმიანობისთვის

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

2. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით (M_1 კატეგორია) გადაყვანისას უნებართვო საქმიანობად ჩაითვლება შესაბამისი ნებართვის გარეშე მგზავრის გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა ნებისმიერი დანიშნულებითა და მიზნით იმ შესაბამისი ნიშნით, რომელიც ტაქსის მაიდენტიფიცირებელი იქნება.

3. სატრანსპორტო საშუალებაზე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი იმ სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება, რომლის გამოც სატრანსპორტო საშუალება აღქმული იქნება ტაქსად, აგრეთვე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნით ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალებით (ნიშნით) გზებზე მოძრაობა ჩაითვლება უნებართვო საქმიანობად.

მუხლი 22. ერთიანი საინფორმაციო ბაზით უზრუნველყოფა

1. ამ წესის მოთხოვნების დაუცველობისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^4 მუხლით საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ერთიანი საინფორმაციო ბაზის მეშვეობით ახორციელებენ კონტროლს ამ დადგენილებით განსაზღვრული და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე.

2. საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემა დასაბუთებული მოთხოვნისას

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განსაზღვრული წესის შესაბამისად გასცეს „A“ კატეგორიის ნებართვები, განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 24. სადავო საკითხების მოგვარება

1. ნებართვის გაცემასთან და სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.

2. სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ სანებართვო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. სანებართვო პირობების დარღვევასთან და უნებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ხოლო სააგენტოს მიერ საჩივარზე მიღებული დადგენილება - სასამართლოში.

4. ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობისას, აღნიშნული თანხის ამოღების მიზნით სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

წესის დანართი 1

#TBA0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის A კატეგორიის სანებართვო მოწმობა

A CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

ნებართვის მფლობელი/Licence Holder

სახელი/Name:

გვარი/Surname:

პირადი ნომერი/Personal Number:

გააქტიურების თარიღი/Date of activation:

ნებართვის გამცემი/Issuing Authority:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
(LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

#TBA0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის A კატეგორიის სანებართვო მოწმობა

A CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

ნებართვის მფლობელი/Licence Holder

სამართლებრივი ფორმა/Legal Form:

სახელწოდება/Name:

საიდენტიფიკაციო ნომერი/Identification number:

გააქტიურების თარიღი/Date of activation:

ნებართვის გამცემი/Issuing Authority:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
(LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

#TBB0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის B კატეგორიის სანებართვო მოწმობა

B CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

ნებართვის მფლობელი/Licence Holder

სახელი/Name:

გვარი/Surname

პირადი ნომერი/Personal Number

ავტომობილი/Vehicle

მწარმოებელი/Manufacturer

მოდელი/Model

სახელმწიფო ნომერი/Registration Number

გაცემის თარიღი/Date of issue:

მოქმედების ვადა/valid till:

ნებართვის გამცემი/Issuing Authority: სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

წესის დანართი 5



წესის დანართი 6



მძღოლის მოწმობა/DRIVER LICENCE **#TBA0000000**

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის A კატეგორიის მძღოლის მოწმობა

A CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA



მძღოლი/Driver

სახელი/Name

გვარი/Surname

დაბადების თარიღი/Date of birth

ავტომობილი/Vehicle

მწარმოებელი/Manufacturer

მოდელი/Model

ფერი/Colour

სახელმწიფო ნომერი/Registration Number

გააქტიურების თარიღი/
Date of activation:

ნებართვის გამცემი/
Issuing Authority:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

მძღოლის მოწმობა/DRIVER LICENCE

#TBB0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის B კატეგორიის მძღოლის მოწმობა

B CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

მძღოლი/Driver

სახელი/Name

გვარი/Surname

დაბადების თარიღი/Date of birth

ავტომობილი/Vehicle

მწარმოებელი/Manufacturer

მოდელი/Model

ფერი/Colour

სახელმწიფო ნომერი/Registration Number

გაცემის თარიღი/Date of issue:

მოქმედების ვადა/valid till:

ნებართვის გამცემი/
Issuing Authority:
სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

2018 წლიდან დაიწყო რეგულაციების დაწესება მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტისთვის, როგორიცაა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანა, რომელიც სრულ სტაგნაციაში იმყოფებოდა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მიღებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილება (შემდგომში - №24-80 დადგენილება) „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ტაქსების რეფორმა მტკივნეულად არ ასახულიყო მომავალ ნებართვების მფლობელებზე, იგი დაიგეგმა რამდენიმე ეტაპად. 2018 წელს დაწყებულ პირველ ეტაპზე ნებართვა გაიცემოდა ფიზიკურ პირზე, ვინც აკმაყოფილებდა შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს: ჰქონდა ელექტრონული პირადობის მოწმობა შესაბამისი ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობით, შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და იყო M_1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან ჰქონდა იმავე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის თანხმობა სატრანსპორტო საშუალების ტაქსად გამოყენებაზე. ამ პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებდა ბევრ ღონისძიებას, რომლითაც სარგებლობის საშუალება ჰქონდა ტაქსის მძღოლს და აღნიშნული ემსახურებოდა იმას, რომ მძღოლებისათვის ფინანსურად ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო მათი საქმიანობის სანებართვო პირობებში მოქცევა, კერძოდ მსურველებზე მერიის მიერ გაიცემოდა ქიმწმენდის და შეღებვის (რა დროსაც უფასოდ ხდებოდა ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობაში ფერის ცვლილება) ვაუჩერები, ხოლო 2019 წელს დაწყებულ ტაქსების რეფორმის მეორე ეტაზე ასევე ნებართვის მფლობელზე ერთჯერადად და უსასყიდლოდ გაიცემა ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მეორე ეტაპზე დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვები დაიყო ორ კატეგორიად („A“ და „B“). „A“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა მარცხენასაჭიანი სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არის თეთრი და 5 კარიანი, ხოლო „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებისმიერი ფერის მარცხენასაჭიან სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც აქვს 5 კარი. ზემოაღნიშნული კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდება შემდეგი პირობებით: „A“ კატეგორიის ტაქსების მძღოლებს უფლება აქვთ ისარგებლონ უფასო პარკირების ადგილებით როგორც ზონალურ, ისე დროის მონაკვეთით განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე, ტაქსის აღმნიშვნელი მანიშნებელი მიიღონ ერთჯერადად უსასყიდლოდ, აიყვანონ მგზავრი ქუჩიდან, ტაქსზე განათავსონ რეკლამა და მიიღონ შემოსავალი, ასევე შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ აპლიკაციის მეშვეობით, ხოლო „B“ კატეგორიის ტაქსების მძღოლებს მხოლოდ აპლიკაციის მეშვეობით, ნებისმიერი ფერის სატრანსპორტო საშუალებით მუშაობის უფლება აქვთ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმა მუდმივად განახლებადი პროცესია, იწყება

რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც 2023 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში და ითვალისწინებს:

- ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით “ერთ პირს - ერთი ნებართვა”, უსასყიდლოდ გადაეცეთ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები, რომლის ამოქმედებისთვის შესაბამის ფიზიკურ პირს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველ აპრილამდე შეეძლება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით გაიაქტიუროს „A“ კატეგორიის ნებართვა, ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უწყდება ნებართვის გააქტიურების უფლება და არ ექნება უსასყიდლო ნებართვით სარგებლობის უფლება;

- 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათ მიმართ გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

- 2023 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდება სრულიად ახალი გამართული ელექტრონული სისტემა (taxi.tbilisi.gov.ge) და ამ სისტემის განახლების გამო 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ახალი ნებართვები არ გაიცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდება ნებართვების გაცემა №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- 2023 წლის პირველი ივლისიდან დაიწყება იურიდიულ პირებზე ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია და მათ მიეცემათ ამ კატეგორიის ნებართვების ფლობის უფლება №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- ყალიბდება „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ახალი წესი და მასთან დაკავშირებული სხვა ფინანსური რეგულაციები, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ იცვლება ნებართვის გაცემის ფასის ოდენობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შედის №24-80 დადგენილებაში, რის გამოც მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით იცვლება დადგენილების სათაური და თავიდან ყალიბდება დადგენილების დანართით დამტკიცებული წესი, სადაც:

- იცვლება წესის სათაური;

- ემატება ტერმინი მომხმარებლის პირადი სივრცე;

- წესის მოქმედი რედაქციით ნებართვის გამცემად განსაზღვრული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი, ხოლო ახალი რედაქციით ნებართვის გამცემად ცალსახად დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო;

- ტერმინი „ერთიანი საინფორმაციო ბაზა“ ახალი რედაქციით არის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა, რომელზეც წვდომა აქვს ნებართვის გამცემს (შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს) და სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ პირებს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინონ საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები; ამასთან, მუხლში, რომელიც ითვალისწინებს კონტროლს სანებართვო პირობების შესრულებაზე დეტალურად არის გაწერილი უფლებამოსილი პირების უფლება-მოვალეობანი;

- სრულიად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით ხდება ნებართვის მაძიებლის მიერ რეგისტრაციის გავლა და ნებართვის მიღება ან შეძენა. ამასთან, პირს, რომელიც არ არის ნებართვის მფლობელი, შეუძლია დარეგისტრირდეს შესაბამის ელექტრონულ მისამართზე მომხმარებლის პირად სივრცეში „A“ კატეგორიის ნებართვის შეძენის ან სარგებლობაში მიღების მიზნით;

- ვინაიდან „A“ კატეგორიის ნებართვის მიღების უფლება ფიზიკურ პირებთან ერთად 2023 წლის პირველი ივლისიდან ეძლევათ იურიდიულ პირებსაც, ცალკ-ცალკე ყალიბდება ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირების და იურიდიული პირების მიერ ელექტრონულ მისამართზე პროცედურების გავლის პრინციპები;

- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე ემატება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილები და პირობები, სადაც სხვა პირობებთან ერთად დაფიქსირებულია, რომ გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და იგი უზრუნველყოფილია ამავე კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნით, დასაშვებია მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა. დღეის მდგომარეობით დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასეთი ადგილებია:

ჯავახეთისა და სუხიშვილის ქ-ის გადაკვეთის პირდაპირ;
საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ;
ვარკეთილის ზ/პლატო, II მ/რ, №10 კორპუსის პირდაპირ (ჯავახეთის ქ. №66);
ჯავახეთის ქ. №10;
მ/ს ,,ვარკეთილი"-ს (მიმდებარედ);
მ/ს ,,ვარკეთილი" (ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქუჩის გადაკვეთასთან);
გმირთა მოედანი (კოსტავას ქ.№63)(საბურთალოს მიმართულებით);
გმირთა მოედანი (კოსტავას ქ.№63-ის მიმდებარედ)(ვაკის მიმართულებით);
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპ. (კოსტავას ქ. №69);
სპორტის სასახლე;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV კორპ.;
სააკაძის მოედანი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსის მიმდებარედ);
ანა კალანდაძის ქ. №1 (მიმდებარედ);
ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმართისა და ღვინის აღმართის გადაკვეთის მიმდებარედ;
დიღმის I კვ. IIIა/IIIბ კორპუსი;
რობაქიძისა და პაიჭაძის ქუჩების გადაკვეთის პირდაპირ;
პოლიციის სამმართველო;
დიღმის II კვ. VIIა კორპუსი;
დიღმის II კვ. VII კორპუსის მიმდებარედ;
დიღმის მასივი III კვ. IV კორპუსი;
დიღმის მასივი III კვ. I კორპუსი;
რობაქიძის გამზირისა და პაიჭაძის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;
რობაქიძის ქ., დიღმის მასივი, VI კვ, კორპუსი №22 (,,თეგეტა მოტორსი");
ქაშვეთის ეკლესია (რუსთაველის გამზ.);
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (რუსთაველის გამზ. №21);
რუსთაველის გამზ. №26;
№1 გიმნაზია (რუსთაველის გამზ.);
მ/ს "თავისუფლების მოედანი";
მელიქიშვილის გამზირი №14 (სასტუმრო "საქართველო");
მელიქიშვილის გამზირი №2 (51-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ);
26 მაისის მ-ნი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსის მიმდებარედ);
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპუსის მოპირდაპირედ;
ზოოპარკი;
კოსტავას ქ. №47-ის მიმდებარედ;
ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა №2-ის მიმდებარედ;
ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა№4-ის მიმდებარედ;
ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა №2-ის მოპირდაპირედ;

ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა №4-ის მოპირდაპირედ;
კუს ტბის ასახვევი (ჭავჭავაძის გამზირი);
ვაკის საცურაო აუზის მოპირდაპირედ;
სპორტის აკადემიის პირდაპირ (ჭავჭავაძის გამზირი);
თაყაიშვილისა და ალექსიძის ქუჩების გადაკვეთა (ვარკეთილი 3-ის II მ/რ, №14 კ-ის მიმდებარედ);
ვარკეთილი 3-ის II მ/რ, №18 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის II მ/რ, №39 კორპუსის მიმდებარედ (პოლიციის მოპირდაპირედ);
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №421 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №417 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №410 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №403 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №403 კორპუსის მოპირდაპირედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №410 კორპუსის მოპირდაპირედ (ვარკეთილის მე-3 ,,ა" მ/რ, კორპუსი №345-ის მიმდებარედ);
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №417 კორპუსის მოპირდაპირედ (180-ე საჯარო სკოლა);
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №421 კორპუსის მოპირდაპირედ;
ვარკეთილი 3-ის IIIა მ/რ, №319ა კორპუსის მიმდებარედ (დვალის ქუჩის გადაკვეთასთან, პოლიციის მიმდებარედ);
ვარკეთილი III მ/რ, №313 კორპუსთან (თაყაიშვილისა და სუხიშვილის ქუჩების გადაკვეთა);
ჟიული შარტავას ქუჩა №33-ის მიმდებარედ;
ჟიული შარტავას ქუჩა №44-ის პირდაპირ;
გორგასალის ქ. №7-ის მიმდებარედ (რესტორანი "მასპინძელო"-ს მიმდებარედ) ;
გორგასალის ქ. №19;
გორგასლის IV შესახვევის გადაკვეთა;
,,300 არაგველის მემორიალი" (მოპირდაპირედ);
გორგასალის ქუჩა №37-ის მიმდებარედ გრიშაშვილის ქუჩის გადაკვეთის შემდეგ;
გორგასლის ქ. №39;
გორგასლის ქ. №57-ის მიმდებარედ (ორთაჭალის ქუჩის გადაკვეთასთან);
გორგასალის ქუჩისა და გორგასალის II შესახვევის გადაკვეთის მიმდებარედ (პროკურატურის შენობის მოპირდაპირედ);
ჟიული შარტავას ქუჩა №7-ის მიმდებარედ;
ზურაბ ანჯაფარიძისა და პოლიტკოვსკაიას ქ-ის გადაკვეთა (პოლიტკოვსკაიას ქუჩის დასაწყისამდე);
ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, კორპუსი №21-22-შორის;
ქეთევან დედოფლის გამზირი №3-5-ის მიმდებარედ;
ქეთევან დედოფლის გამზირი №26-ის მოპირდაპირედ);
ქეთევან დედოფლის გამზირი №43 (89-ე საჯარო სკოლის მოპირდაპირედ);
მ/ს ,,300 არაგველი"-ს მოპირდაპირედ (ქეთევან წამებულის გამზირი);
ქეთევან დედოფლის გამზირი №57 (96-ე საჯარო. სკოლა);
ქეთევან დედოფლის გამზირი №62-64-ის მიმდებარედ (96-ე საჯარო სკოლის მოპირდაპირედ;
მ/ს ,,300 არაგველი"-ის მიმდებარედ ქეთევან დედოფლის გამზირი);
ქეთევან დედოფლის გამზირი №43-ის მოპირდაპირედ (89-ე საჯარო სკოლა);
ქეთევან დედოფლის გამზირი №26 (უსინათლოთა სკოლა, ფარნავაზ მეფის ძეგლის მოპირდაპირედ
მ/ს ,,ავლაბარი"-ს მიმდებარედ (ავლაბრის მოედანი);
თამარაშვილის გამზირი №11-ის მიმდებარედ;
თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩის გადაკვეთის პირდაპირ (ყოფილი იპოდრომის შესასვლელის მიმდებარედ);
თამარაშვილის გამზირი №19-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №5-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №4-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №12-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №6-ის მიმდებარედ;

თამარაშვილის გამზირი №13დ-ს მოპირდაპირედ;
თამარაშვილის გამზირის და გიორგი წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ;
ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ჰუალინგის დასახლება კორპუსი №7-ის მიმდებარედ;
ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ჰუალინგის დასახლება კორპუსი №26-ის მიმდებარედ;
ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ვარკეთილის მე-4 მ/რ, კორპუსი №404-ის მიმდებარედ;
თამარ მეფის გამზირი, პროკრედიტ ბანკი (დავით აღმაშენებლის გადაკვეთა);
თამარ მეფის გამზირი, რკინიგზის დეპარტამენტი (თამარ მეფის გამზ. №15);
თამარ მეფის გამზირი №31-ის მიმდებარედ;
თამარ მეფის გამზირი №28-30-ის მიმდებარედ;
თამარ მეფის გამზ. №14ა-მიმდებარედ (წინამძღვრიშვილის გადაკვეთა);
თამარ მეფის გამზ. №2 (დავით აღმაშენებლის გადაკვეთასთან);
დანიური სახლის მოპირდაპირედ (დავით აღმაშენებლის გამზირი #№164-ის მიმდებარედ);
თამარ მეფის გამზირისა და მერაბ ალექსიძის ქ.-ის გადაკვეთა;
ჯავახეთის ქ. №21-ის მიმდებარედ (კალოუბნის და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთა);
დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, მირიან მეფის ქუჩა №100-ის მიმდებარედ;
დიდი დიღომი III მ/რ, №15 კორპუსის მოპირდაპირედ (მირიან მეფის 90 ა);
დიდი დიღომი III მ/რ, მირიან მეფის ქუჩა №68ა-ს მიმდებარედ;
დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №46-ის მიმდებარედ;
დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №26-ის მიმდებარედ;
დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №4-ის მიმდებარედ;
მირიან მეფისა და ვეფხვის ტყაოსნის ქუჩების გადაკვეთა (ჰიპერმარკეტ "გუდვილი"-ს პირდაპირ);
მირიან მეფისა და დავით აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთის მიმდებარედ;
მირიან მეფისა და ფარნავაზ მეფის გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ;
დიდი/დიღომი III მ/რ, მირიან მეფის ქუჩისა და ნესტან დარეჯანის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №41-ის მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №16ა-ს მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №16ა-ს მოპირდაპირედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №41-ის მოპირდაპირედ;

- ახლებურად არის ჩამოყალიბებული მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმებას.

პროექტში სახაზინო კოდი მითითებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №11-01182122962 წერილის (თან ერთვის) შესაბამისად, რომლის მიხედვით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მაძიებელი, ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში. შემოსულობების ზუსტი აღრიცხვისა და მონიტორინგისათვის, „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში მიმდინარე წლის 31 აგვისტოს №286 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დამატებით განისაზღვრა შემოსულობების სახაზინო კოდი – 300773103.

დადგენილების პროექტი, პოზიციის დაფიქსირებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01-01230532018 წერილით გადაგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომლის №MIA 0 23 00725673 წერილის (თან ერთვის) შესაბამისად დაკორექტირდა პროექტი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საფინანსო საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**11-01182122962**
თარიღი: **31/07/2018**

ადრესატი:

მამუკა მუმლაძე
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მაძიებელი, ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში. შემოსულობების ზუსტი აღრიცხვისა და მონიტორინგისათვის, „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის #1226 ბრძანებაში მიმდინარე წლის 31 აგვისტოს #286 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დამატებით განისაზღვრა შემოსულობების სახაზინო კოდი – 300773103.

დანართი: 2 ფურცელი.

გაიოზ თალაკვაძე

სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01230532018**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი: შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რაც გამოწვეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაანონსებული ტაქსების რეფორმის მე-3 ეტაპის განხორციელების საჭიროებით.

გთხოვთ თქვენს პოზიციას ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი: 34 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 0 23 00725673

14/03/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა 2023 წლის 22 თებერვლის №01-01230532018 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რასთან დაკავშირებითაც, კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის“ მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გამცემი, ნებართვის მაძიებლის მიერ საკუთარი მომხმარებლის პირად მუნიციპალურ სივრცეში მითითებული სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის და ნებართვის მაძიებლის მართვის მოწმობის შესახებ საჭირო მონაცემებს იღებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომი – მომსახურების სააგენტო) ელექტრონული ბაზიდან, მომსახურების სააგენტოსა და ნებართვის გამცემს შორის გაფორმებული შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

გასათვალისწინებელია, რომ წესის მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილია ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა გასცეს მომსახურების სააგენტომ, კერძოდ, ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკის, ტიპის, მოდელის, გამოშვების წლის, ფერის, საწვავის ტიპის ან ენერგიის წყაროს, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომრის, დასაჯდომი ადგილების რაოდენობის (მძღოლის ადგილის ჩათვლით) და სატრანსპორტო საშუალების მასასთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ. ამასთან, მომსახურების სააგენტო გასცემს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მაძიებლის მართვის მოწმობის მოქმედების ვადის და მართვის მოწმობის შესაბამისი კატეგორიის შესახებ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული წესი აღარ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული იმ მონაცემების ჩამონათვალს, რომელსაც მომსახურების სააგენტო აწვდის საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გამცემს. კერძოდ, წარმოდგენილი წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მომსახურების სააგენტო გასცემს მხოლოდ ნებართვის გაცემისთვის/გაუქმებისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის, ასევე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილების შესახებ მონაცემებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნდოვანია საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის ან გაუქმებისას, მომსახურების სააგენტოს მიერ ნებართვის გამცემისთვის კონკრეტულად რა სახის მონაცემების მიწოდება იქნება საჭირო. შესაბამისად, მითითებული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას: აუცილებელია, მიეთითოს მონაცემთა კონკრეტული ჩამონათვალი, ისე, როგორც ეს მოქმედ დადგენილებაშია გაწერილი ან დაზუსტდეს, რომ მომსახურების სააგენტო გასცემს სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მონაცემებს.

ამასთან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მაძიებლის/მფლობელის/მძღოლის მართვის მოწმობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღებას თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ელექტრონული სისტემის მეშვეობით. გასათვალისწინებელია, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას გასცემს მომსახურების სააგენტო. შესაბამისად, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ ნორმაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაცვლად მიეთითოს მომსახურების სააგენტო.

იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი

ლანა ცანავა

<u>დანართი 2</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2023 წლის ------ ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების:

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები:
„ტ) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური;
უ) სანებართვო-ანალიტიკური სამსახური.“.

2. მე-8 მუხლის:
ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მომზადებული პროექტების სამართლებრივი ანალიზი;
გ) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი განმარტებების მომზადება;
დ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტოს მიერ მომზადებული სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

ე) სააგენტოს უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე სააგენტოს წარმომადგენლობა სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება;

ვ) სასამართლოს/ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებების ჩატარება სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად;

ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

თ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა), 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტებისა და ზემოაღნიშნული მუხლებით, აგრეთვე 134^1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;

ი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა), 134^1-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის გაგზავნა, ასევე სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაგზავნა;

კ) სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის მიერ დაარქივებული და მოწოდებული ვიდეოჩანაწერის ან/და ფოტოფირის გაცემის უზრუნველყოფა;

ლ) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის მიწოდება;

მ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.“;

ბ) მე-9 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“;

გ) მე-10 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;

დ) მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით და 135^4 მუხლით

გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა“;

ე) მე-10 პუნქტს, „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ზ^{1}) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“;

ვ) მე-15 პუნქტს, „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ და „თ^{2}“ ქვეპუნქტები:

„თ^{1}) სააგენტოს მიერ უფლებამოსილების ფარგლებში დაჯარიმებული ან/და სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცემა სააგენტოს ცხელი ხაზის -1398 მეშვეობით;

თ^{2}) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“;

ზ) მე-17 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები;

თ) მე-18 პუნქტს, „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ^{1}“ ქვეპუნქტი:

„გ^{1}) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“.

3. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 და მე-20 პუნქტები:

„19. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) გზაზე, საგზაო ნაგებობაზე, მიწისქვეშა კომუნიკაციაზე ან რკინიგზის გადასასვლელზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე, ან ამ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას სატრანსპორტო საშუალების გზაზე განლაგებაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან სააგენტოს მიერ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) ერთად შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (მათ შორის, დროებითის) გარეშე ან სქემის (მათ შორის, დროებითის) დარღვევისას კონტროლის გაწევა - მათ შორის: ობიექტი შემოფარგლულია თუ არა დამცავი ღობით და ქვეითთა მოძრაობის ადგილებში შემოღობვა გადახურულია თუ არა დამცავი საფარით; განთავსებულია თუ არა შესაბამისი (შუქამრეკლი) საგზაო ნიშნები ან/და დატანილია დროებითი ჰორიზონტალური მონიშვნები; აკონტროლებს თუ არა საავტომობილო საშუალებების მოძრაობას სპეციალურად გამოყოფილი პერსონალი (მედროშე) იმ პირობით, თუ ეს სქემით არის განსაზღვრული; ღამის პერიოდში მუშაობს თუ არა მაშუქი ციმციმა; ბეტონის მიწოდებისათვის მიქსერ(ებ)ის ან/და ბეტონდამჭირხნ(ებ)ის გამოყენების შემთხვევაში დაცულია თუ არა მათი განლაგებისას სქემა და ა.შ.;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ სააგენტოს წერილობითი მითითების შეუსრულებლობაზე კონტროლის გაწევა;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;

დ) დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) თაობაზე ინფორმაციის სამართალდამღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის/დადგენილების ორჯერ ჩაუბარებლობისას საჯარიმო ქვითრის დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადება ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge;

ვ) უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ მოქმედი სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ზ) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;

თ) სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge და სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განახლების უზრუნველყოფა;

ი) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.

20. **სანებართვო-ანალიტიკური სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:**

ა) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გასაცემად სათანადო დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი სანებართვო რეესტრის წარმოება; სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე (გარდა ფინანსურისა) საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა, ნებართვაში ცვლილების შეტანა და ნებართვის გაუქმება ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge-ს მეშვეობით;

გ) „A“ კატეგორიის უვადო ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალებიდან არაუმეტეს 1 წლის (გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა) განმავლობაში, მემკვიდრის მიერ სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში მისი განხილვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება მემკვიდრისთვის უვადო ნებართვის გააქტიურების მიზნით;

დ) ელექტრონულ მისამართზე www.taxi.tbilisi.gov.ge არსებული ინფორმაციის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის, ცნობის და სხვა დოკუმენტაციის (გარდა ფინანსური ნაწილისა) გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) ნებართვის მაძიებლის ან ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მათთან შეხვედრების უზრუნველყოფა;

ვ) სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) უწყებრივი სანებართვო რეესტრიდან მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა და „B" კატეგორიის ნებართვის მფლობელის სურვილის შემთხვევაში საფასურის გადახდის გარეშე, შესაბამის ნებართვაში ცვლილების შეტანა, თუ მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე შეცვლის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს);

თ) სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols);

ი) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა);

კ) სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელონ შემოწმება; ამასთან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა;

ლ) დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობისას დაკისრებული ჯარიმის გასამმაგება. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმის კვლავ გასამმაგება და ნებართვის მფლობელისთვის დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ამ წესით დადგენილი ვადის ისევ განსაზღვრა. გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება, ხოლო დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება და ჯარიმის ან/და საურავის აღსრულება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134^1-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;

ნ) უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ მოქმედი სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურიდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის გაცემა;

პ) იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ „ოპერატიულ-

სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები, აგრეთვე „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე სპეციალური საშვის გაცემა;

ჟ) უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის სამგზავრო პლასტიკური ბარათის ან ელექტრონული გადახდის საშუალების სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვისას ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას განბლოკვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განბლოკვა ან შესაბამისი დოკუმენტის მომზადება განბლოკვაზე უფლებამოსილი პირისთვის გადაგზავნის მიზნით;

რ) სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან სტატისტიკური ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ერთიანი ანალიზის მომზადება;

ს) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.“.

4. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში სამსახურის უფროსის მოვალეობას, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის მესამე ეტაპი იწყება, რომელიც 2023 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში და ითვალისწინებს:

- ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით “ერთ პირს - ერთი ნებართვა”, უსასყიდლოდ გადაეცეთ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები, რომლის ამოქმედებისთვის შესაბამის ფიზიკურ პირს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველ აპრილამდე შეეძლება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით გაიაქტიუროს „A“ კატეგორიის ნებართვა, ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უწყდება ნებართვის გააქტიურების უფლება და არ ექნება უსასყიდლო ნებართვით სარგებლობის უფლება;

- 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათ მიმართ გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები;

- 2023 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდება სრულიად ახალი გამართული ელექტრონული სისტემა (taxi.tbilisi.gov.ge) და ამ სისტემის განახლების გამო 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ახალი ნებართვები არ გაიცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდება ნებართვების გაცემა №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- 2023 წლის პირველი ივლისიდან დაიწყება იურიდიულ პირებზე ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია და მათ მიეცემათ ამ კატეგორიის ნებართვების ფლობის უფლება №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

ზემოაღნიშნული საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ნებართვების გამცემ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დაემატოს ახალი სტრუქტურული ერთეული - სანებართვო-ანალიტიკური სამსახური, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება იქნება სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

2022 წლის ივნისიდან, მას შემდეგ რაც ამოქმედდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოების შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაჯარიმებას, გამოიკვეთა სამართალდარღვევათა ასეულობით შემთხვევა, რაც დღის წესრიგში აყენებს სააგენტოსთვის კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეულის - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურის შექმნის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული ცვლილებები იწვევს სააგენტოს ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებაში კორექტივების შეტანის აუცილებლობას.

ასევე მიზანშეწონილია სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში სამსახურის უფროსის მოვალეობა დაეკისროს ამ სამსახურის რომელიმე თანამშრომელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>დანართი 3</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2023 წლის --- ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კოდექსის 240^1 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საცნობი ნიშნის დაკარგვისას ან დაზიანებისას, მისი აღდგენის თხოვნით სააგენტოს წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით (შემდგომში - №33-99 დადგენილება) დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-12 პუნქტის მოქმედი რედაქციით „საცნობი ნიშნის დაკარგვისას, მისი აღდგენის თხოვნით სააგენტოს წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.“. არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი), რომელზე გაცემულია საცნობი ნიშანი, ამ ნიშნის გაცემაზე უფლებამოსილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართავს მისივე დაუდევრობით დაზიანებული საცნობი ნიშნის აღდგენის თხოვნით, რის გამოც საჭიროა №33-99 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დაემატოს დაზიანების შემთხვევები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>**დანართი 4**</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №

2023 წლის --- ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016086) და დადგენილების 3^2 მუხლს, მე-3 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ვადიან სამგზავრო ბარათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დროის მონაკვეთის მიხედვით დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების 3^2 მუხლით განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას, ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფების/ფასის გადახდა, მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ გადახდის სხვა საშუალებებთან ერთად, შესაძლებელია ვადიანი სამგზავრო ბარათით, აგრეთვე დადგინდა ვადიანი სამგზავრო ბარათის ღირებულება დროის მონაკვეთის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია შემენილ ბარათებზე დარიცხული თანხის უკან დაბრუნების მომართვიანობის შემთხვევები, მიზანშეწონილია აღნიშნულ წესში დაფიქსირდეს, რომ მსგავსი ფაქტების არსებობისას დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის საჭირო მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2023 წლის -- ---------- **ქ. თბილისი**

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 27/07/2018; სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016526) შევიდეს ცვლილება და დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“.

2. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „$ვ^5$“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ე.$გ^1$“, „ე.$ვ^1$“ და „ე.$ე^5$“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 11^1 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „$ა^1$“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 5^2 მუხლის 2^1 პუნქტის, 5^6 მუხლის პირველი პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსი“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:“.**

3. პირველი-მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს ერთ კალენდარულ დღეში 0,27 ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს ერთ კალენდარულ დღეში 0,13 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი განისაზღვროს ერთ კალენდარულ დღეში 3 ლარის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ნებართვაზე არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება ან/და მძღოლი.

4. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “B” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით და ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “B” კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.

6. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” კატეგორიის ნებართვაში ნებისმიერი ცვლილების (ნებართვის მფლობელის, უფლებამოსილი მძღოლის და ავტოსატრანსპორტო საშუალების) განხორციელება შესაძლებელია ნებართვის მფლობელის მიერ 20 ლარის გადახდის შემთხვევაში.

7. ამ მუხლის პირველი-მე-6 პუნქტებით დადგენილი თანხები ჩაირიცხოს სახაზინო კოდზე 300773103.

მუხლი 2

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის “A” და “B” კატეგორიების ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გათავისუფლდეს ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მხოლოდ ელექტროძრავა აქვს და რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია.

მუხლი 3

დამტკიცდეს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ თანდართული წესი.

მუხლი 4

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის მომსახურების განხორციელება „A” ან/და „B” კატეგორიის ნებართვის გარეშე ან ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო კონტროლის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

მუხლი 5

1. ფიზიკურ პირს, რომელიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდა საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით ,,ერთ პირს - ერთი ნებართვა“, ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge მეშვეობით უსასყიდლოდ გადაეცეს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის უვადო ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირს „A“ კატეგორიის ნებართვის გააქტიურების უფლება აქვს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველი აპრილამდე, ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ამ პირს შეუწყდეს ნებართვის გააქტიურების უფლება.

3. 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ნებართვები აღარ გაიცეს, ხოლო 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ძალაში რჩება შესაბამისი ვადით.

4. 2023 წლის 20 მარტიდან 2023 წლის პირველ აპრილამდე შეჩერდეს „B“ კატეგორიის ნებართვების გაცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდეს „B“ კატეგორიის ნებართვების გაცემა ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

5. იურიდიულ პირებზე „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის პირველი ივლისიდან.“.

4. დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული წესი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემული ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ამასთანავე, გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

მუხლი 3.

1. დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლით ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა ამოქმედდეს 2023 წლის პირველი აპრილიდან.

2. დადგენილების პირველი მუხლით ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2023 წლის 20 მარტიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>,,დანართი</u>

დანართი

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, „A" და „B" კატეგორიების ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად ან/და ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გზაზე ბუქსირებისათვის;

ბ) ერთიანი საინფორმაციო ბაზა – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა, რომელზეც წვდომა აქვს ნებართვის გამცემს და სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ პირებს;

გ) M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ" შემაჯამებელი რეზოლუციის" შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალება (ან საშუალების კატეგორია), რომელიც განკუთვნილია არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად;

დ) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა – დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი მსუბუქი ავტომობილით მგზავრის გადაყვანა ან/და ბარგის გადაზიდვა;

ე) მძღოლი – ფიზიკური პირი, რომელიც M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავს შესაბამისი კატეგორიის მართვის უფლებით.

ვ) ნებართვა – ნებართვის მაძიებლისათვის ნებართვის გამცემის მიერ ელექტრონული მისამართით: www.taxi.tbilisi.gov.ge მინიჭებული უფლება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ვადით განახორციელოს მომსახურება საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია). ნებართვა არის:

ვ.ა) „A" კატეგორიის – გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, თუ იგი დააკმაყოფილებს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს;

ვ.ბ) „B" კატეგორიის – გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, თუ იგი დააკმაყოფილებს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს;

ზ) ნებართვის გამცემი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (შემდგომში - სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო);

თ) ნებართვის მაძიებელი – ნებართვის მიღების მსურველი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ი) ნებართვის მფლობელი - პირი, რომელსაც ნებართვის გამცემის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული უფლებამოსილება ან „A" კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში პირი, რომელსაც სხვა ნებართვის მფლობელი პირის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება. აღნიშნული გენერირდება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge;

კ) ნებართვის გაცემის ფასი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ფასი მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე;

ლ) მომხმარებლის პირადი სივრცე - ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge რეგისტრაციის საფუძველზე შექმნილი პირადი სივრცე, რომლის გამოყენებით ნებართვის მაძიებელი იღებს ნებართვას ან ნებართვის მფლობელი მართავს კუთვნილ ნებართვას/ნებართვებს;

მ) პირი – ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილია ფლობდეს არაუმეტეს "A" კატეგორიის სამ ნებართვას, აგრეთვე „B" კატეგორიის ნებართვას ამ წესის შესაბამისად ან იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია ფლობდეს იმდენ ნებართვას, მის საკუთრებაში არსებული რამდენი სატრანსპორტო საშუალებაც აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს;

ნ) სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი;

ო) სანებართვო პირობები – კანონით ან კანონის საფუძველზე, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

პ) ტაქსი - არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლითაც "A" ან "B" კატეგორიის ნებართვებისათვის დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად ხორციელდება მგზავრის გადაყვანა ან/და ბარგის გადაზიდვა;

ჟ) უწყებრივი სანებართვო რეესტრი – მონაცემთა სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების თაობაზე, რომელიც აისახება ელექტრონულად ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge.

მუხლი 3. „A" კატეგორიის ნებართვის გაცემის წესი

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია „A" კატეგორიის ნებართვის მიღება ამ წესის შესაბამისად.

2. „A" კატეგორიის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს სხვა პირს გადასცეს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება.

3. პირს, რომელიც არ არის ნებართვის მფლობელი, შეუძლია დარეგისტრირდეს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირად სივრცეში „A" კატეგორიის ნებართვის შეძენის ან სარგებლობაში მიღების მიზნით.

4. ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა ელექტრონული განცხადება უნდა შეავსოს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge.

5. ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირი სისტემაში რეგისტრაციისას ელექტრონულ მისამართზე გაივლის შემდეგ პროცედურას:

ა) ეთანხმება სისტემის მიერ შეთავაზებულ წესებს და პირობებს;

ბ) იწყებს ელექტრონულ მისამართზე რეგისტრაციას, შეჰყავს პირადი ნომერი და გვარი, რა დროსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (შემდგომში - სსგს) მოდის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

გ) შესაბამის ველში შეჰყავს მობილური ტელეფონის ნომერი და ამ ნომერზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

დ) შესაბამის ველში შეჰყავს პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი და აღნიშნულ მისამართზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

ე) შესაბამის ველში შეჰყავს პაროლი, რის შემდეგ სრულდება რეგისტრაციის პროცედურა;

ვ) რეგისტრაციის შემდეგ გადის ავტორიზაციას და სისტემა უხსნის მომხმარებლის პირად სივრცეს;

ზ) სისტემაში შესვლისას აუცილებელია საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობით/საქართველოში მცხოვრები უცხოელის მუდმივი/დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობით ერთჯერადად ავთენტიფიკაციის გავლა პერსონალური ავთენტიფიკაციის კოდით.

6. ნებართვის მაძიებელი იურიდიული პირი ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისას გაივლის შემდეგ პროცედურას:

ა) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერში ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გადის რეგისტრაციას ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ბ) უთითებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რა დროსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოდის საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი.

7. რეგისტრაციის გავლის შემდეგ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი მომხმარებლის პირადი სივრცით შეძლებს მართოს პირადი ან/და ორგანიზაციის ნებართვა/ნებართვები და ამასთან მას შესაძლებლობა აქვს მომხმარებლის პირად სივრცეში დაამატოს იურიდიული პირის წარმომადგენელი (რომელიც გადის რეგისტრაციას ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად), რომელზეც გადადის ყველა ის უფლება, რაც იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს აქვს.

მუხლი 4. „B“ კატეგორიის ნებართვის გაცემის წესი

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია „B“ კატეგორიის ნებართვის მიღება ამ წესის შესაბამისად.

2. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ფიზიკურ პირზე.

3. ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა ელექტრონული განცხადება უნდა შეავსოს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge.

4. „B“ კატეგორიის ნებართვის მაძიებელი ელექტრონული განცხადების შევსებისას ელექტრონულ მისამართზე გაივლის შემდეგ პროცედურას:

ა) ეთანხმება სისტემის მიერ შეთავაზებულ წესებს და პირობებს;

ბ) იწყებს ელექტრონულ მისამართზე რეგისტრაციას, შეჰყავს პირადი ნომერი და გვარი, რა დროსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (შემდგომში - სსგს) მოდის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

გ) შესაბამის ველში შეჰყავს მობილური ტელეფონის ნომერი და ამ ნომერზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

დ) შესაბამის ველში შეჰყავს პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი და აღნიშნულ მისამართზე მიღებულ ვერიფიკაციის კოდს უთითებს სათანადო ველში;

ე) შესაბამის ველში შეჰყავს პაროლი, რის შემდეგ სრულდება რეგისტრაციის პროცედურა;

ვ) რეგისტრაციის შემდეგ, გადის ავტორიზაციას და სისტემა უხსნის მომხმარებლის პირად სივრცეს;

ზ) სისტემაში შესვლისას აუცილებელია საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობით/საქართველოში მცხოვრები უცხოელის მუდმივი/დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობით ერთჯერადად ავთენტიფიკაციის გავლა, პერსონალური ავთენტიფიკაციის კოდით.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი არ არის იმ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, რომლითაც სურს განახორციელოს გადაყვანა, მაშინ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებლის პირად სივრცეში ასახულ სატრანსპორტო საშუალებაზე განსაზღვრული ინსტრუმენტით ქმნის სპეციალურ უნიკალურ კოდს, რომელსაც გადასცემს ნებართვის მაძიებელს. ნებართვის მაძიებელი, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქმნის მომხმარებლის პირად სივრცეს, შემდეგ სისტემაში არსებული შესაბამისი ფორმის გამოყენებით უთითებს სპეციალურ უნიკალურ კოდს და ავტოსატრანსპორტო საშუალება აისახება სისტემაში.

6. თუ სატრანსპორტო საშუალებაზე ნებართვა უკვე გაცემულია, ყოველმა პირმა, რომელსაც სურვილი აქვს იყოს უფლებამოსილი მგზავრთა გადაყვანაზე ამ სატრანსპორტო საშუალებით, რეგისტრაცია უნდა გაიაროს ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და უკვე გაცემული ნებართვის მოქმედების ვადით შეუძლია გახდეს მგზავრთა გადაყვანაზე უფლებამოსილი პირი იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და არის ამ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან გააჩნია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის თანხმობა.

7. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს „A“ კატეგორიის ნებართვა აიღოს თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

8. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელ ფიზიკურ პირს სურვილის შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს „B“ კატეგორიის ნებართვით ნებართვის გაცემის ფასის გადახდის გარეშე და ამ კატეგორიის ნებართვით მგზავრთა გადაყვანისას იგი უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ „B“ კატეგორიისთვის ნებადართული ამ წესით განსაზღვრული პირობები.

9. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მსუბუქ ავტომობილს – ტაქსს (M_1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ;

ბ) მსუბუქ ავტომობილს – ტაქსს (M_1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, აქვს ოთხი თვალი და 5 კარი.

10. განცხადების ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge შევსებისას, ნებართვის მაძიებელი შესაბამის ველში უთითებს, რომ სურს მასზე გაიცეს „B“ კატეგორიის ნებართვა.

11. ერთსა და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია გაიცეს როგორც „A“, ისე „B“ კატეგორიის ნებართვა.

12. ნებართვა, ამ წესის შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მიმღებს გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და მის მიერ დაცულია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 5. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის მიერ მომხმარებლის პირადი სივრცის მართვა

1. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის გააქტიურების შემდეგ, უფლებამოსილია ნებართვაზე დაამატოს სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) სატრანსპორტო საშუალება არის თეთრი ფერის;

ბ) სატრანსპორტო საშუალება არის ამ წესის დანართ 4-თან შესაბამისობაში;

გ) სატრანსპორტო საშუალებას საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ;

დ) სატრანსპორტო საშუალებას აქვს ოთხი თვალი და 5 კარი.

2. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის გააქტიურების შემდეგ, უფლებამოსილია ნებართვაზე დაამატოს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი/მძღოლები.

3. ფიზიკურ პირს შეუძლია ფლობდეს „A“ კატეგორიის მხოლოდ 3 (სამ) ნებართვას.

4. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის მიერ ერთ ნებართვაზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების დამატება, ხოლო ამ სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე შეუზღუდავი რაოდენობის მძღოლების დამატება.

5. იურიდიულ პირს შეუძლია ფლობდეს „A“ კატეგორიის იმდენ ნებართვას, მის საკუთრებაში არსებული რამდენი სატრანსპორტო საშუალებაც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

6. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირი იმ შემთხვევაში შეძლებს ახალი ნებართვის შეძენას, როდესაც ყველა მის მფლობელობაში არსებულ ნებართვაზე დამატებული ეყოლება მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება.

7. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის მიერ ერთ ნებართვაზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების დამატება, ხოლო ამ სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე შეუზღუდავი რაოდენობის მძღოლების დამატება.

8. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელ პირს შეუძლია სხვის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება დაამატოს ნებართვას, სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ელექტრონული სისტემის მიერ გაგზავნილი კოდის მითითების შემთხვევაში.

9. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი პირი უფლებამოსილია კუთვნილი ნებართვა:

ა) მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით განათავსოს გასხვისების მიზნით ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge;

ბ) გადასცეს სარგებლობის (იჯარა, ქირავნობა) უფლებით ან/და უფლებრივად დატვირთოს (გირავნობა);

გ) განკარგოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესისა და პირობების შესაბამისად.

10. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი პირი უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ნებართვაში (შეცვალოს ნებართვის მფლობელი, უფლებამოსილი მძღოლი, ავტოსატრანსპორტო საშუალება და ა.შ.) და თითოეული ინფორმაციის ცვლილებისას იგი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საფასური ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით, რის შემდეგ 24:00 საათზე ელექტრონული საიტის მეშვეობით განხორციელდება ზემოაღნიშნული ცვლილება.

11. შესაბამისი ელექტრონული სისტემა ყოველდღიურად დაითვლის „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის მიერ გადასახდელ ნებართვის გაცემის ფასს, ხოლო ყოველი თვის პირველ დღეს ნებართვის მფლობელს, მომხმარებლის პირად სივრცეში, გამოუჩნდება წინა თვის გადასახდელი თანხა. ნებართვის მფლობელი ვალდებულია წინა თვის ნებართვის გაცემის ფასი სრულად გადაიხადოს ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 7 რიცხვისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახდის ბოლო დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე ან დასვენების დღეს. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გაცემის ფასი გადაიხადოს მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს. ნებართვის გაცემის ფასის ზემოაღნიშნულ ვადაში გადაუხდელობა იწვევს პირის დაჯარიმებას და მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად ნებართვის გაუქმებას. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877) ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო თვის პირველი რიცხვისა, ნებართვის მფლობელს, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე, გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება წინა თვის გადასახდელი ნებართვის გადახდის ფასის ოდენობაზე.

12. ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უსასყიდლოდ გადაცემული ნებართვების გააქტიურების შემდეგ, ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვის გააქტიურების თვის გადასახდელი ნებართვის გაცემის ფასი დაანგარიშდება შემდეგი კალენდარული თვის გადასახდელ თანხასთან ერთად და გადახდა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 6. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილები და პირობები

1. გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და იგი უზრუნველყოფილია ამავე კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნით, დასაშვებია მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა.

2. დაუშვებელია “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა იმ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში, სადაც M_2 და M_3 კატეგორიების ავტობუსებისა და სატრანსპორტო საშუალებათა საერთო ნაკადის მოძრაობა საპირისპირო მიმართულებისაა.

3. “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგი არ შეაფერხებს, არ გააძნელებს ან არ დააბრკოლებს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას.

4. “A” კატეგორიის ნებართვის მფლობელს, რომელსაც იმავდროულად აქვს „B“ კატეგორიის ნებართვა და მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანას ახორციელებს „B“ კატეგორიის ნებართვის საფუძველზე, არ აქვს უფლება ისარგებლოს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლით.

მუხლი 7. „A“ კატეგორიის ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალების და მძღოლის მოხსნა

1. „A“ კატეგორიის ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალება შეიძლება მოიხსნას:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნისას;

ბ) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მოთხოვნისას, ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებაზე დამატებული მძღოლი/მძღოლები არ იხსნება;

გ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის გარდაცვალებისას (ლიკვიდაციისას);

დ) თუ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ე) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ცვლილებისას;

ვ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისას;

ზ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნისას;

თ) თუ სატრანსპორტო საშუალებაზე კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გავლილი ტექნიკური ინსპექტირება ტაქსებისთვის დადგენილი პერიოდულობით ან ამ პერიოდულობის

გავლამდე დაუფიქსირდა ტექნიკური ინსპექტირების გავლა, რომელიც დადებითად არ არის გავლილი.

2. „A“ კატეგორიის ნებართვიდან მძღოლი შეიძლება მოიხსნას:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნისას;

ბ) ნებართვაში დამატებული მძღოლის მოთხოვნისას, ამასთან, ამ შემთხვევაში დამატებული სატრანსპორტო საშუალება არ იხსნება;

გ) თუ ნებართვაში დამატებულ მძღოლს აღარ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება (მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტის (გაუქმების) გამო);

დ) ნებართვაში დამატებული მძღოლის გარდაცვალებისას;

ე) ნებართვის მფლობელის მოთხოვნისას ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების მოხსნისას.

3. ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალების და მძღოლის მოხსნა ეცნობება ელექტრონულად ნებართვის მფლობელს მომხმარებლის პირად სივრცეში, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით და ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 8. ელექტრონული მისამართით მომსახურების უზრუნველყოფა

1. ელექტრონული მისამართის (www.taxi.tbilisi.gov.ge) გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877).

2. ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის პირადი მონაცემების მიღებას სსგს-დან ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, სსგს-სთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ნებართვის გაცემისთვის/გაუქმებისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის (არსებობის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა, ტიპი, მოდელი, გამოშვების წელი, ფერი, საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი და დასაჯდომი ადგილების რაოდენობა მძღოლის ადგილის ჩათვლით და სატრანსპორტო საშუალების მასასთან დაკავშირებული მონაცემები და სხვა), ნებართვის მაძიებლის/მფლობელის/მძღოლის მართვის მოწმობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის, ასევე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილების შესახებ მონაცემების მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, მომსახურების სააგენტოსთან და სამინისტროსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე.

4. ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის პირადი მონაცემების მიღებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

5. გასასხვისებელი ან სარგებლობის უფლებით გადასაცემი „A“ კატეგორიის ნებართვა უნდა განთავსდეს ელექტრონულ მისამართზე www.taxi.tbilisi.gov.ge და მისი ნახვა და ნებართვის შეძენა/სარგებლობის უფლებით მიღება შეეძლება მხოლოდ დარეგისტრირებულ ნებართვის მაძიებელს, მისი მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით და გასხვისებისას ნებართვის მფლობელის ცვლილება, ხოლო სარგებლობის უფლებით გადაცემისას ნებართვაში შესაბამისი უფლების რეგისტრაცია განხორციელდება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/ნ 405026877) მიერ ელექტრონულად იმავე დღის 24:00 საათზე.

6. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877), ამოწმებს თითოეულ ნებართვაზე მიბმული სატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს თუ არა ამ წესის მე-5

მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ პირობებს. თუ სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, იგი მოიხსნება ნებართვიდან.

7. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877) ვალდებულია ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ცვლილება განახორციელოს 24:00 საათზე.

8. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877) ვალდებულია ნებართვების მფლობელებს მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ელექტრონულ ფოსტაზე წერილები ნებართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 9. ნებართვის გაცემა, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, განახლება და დამუშავება

1. „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვები გაიცემა ნებართვის მაძიებელზე ელექტრონული ფორმით.

2. „A“ კატეგორიის ნებართვაში შესაძლებელია ნებართვის მფლობელის შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელის მიერ სრულად გადახდილია როგორც ნებართვის გაცემის ფასი, ისე ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მის მიერ მომხმარებლის პირად სივრცეში გამოვლენილია ნებართვის სხვის მფლობელობაში გადაცემის ნება.

3. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებლის საკუთარი მომხმარებლის პირად სივრცეში რეგისტრაციისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

4. გაცემული ნებართვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას, განახლებას და დამუშავებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877).

5. ერთიან საინფორმაციო ბაზაში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემები „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების მფლობელების შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის და მძღოლის მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი ადგილი;

ბ) „A“ კატეგორიის ნებართვაზე მიმაგრებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი და მძღოლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) იმ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი და ძრავას საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაცემულია B“ კატეგორიის ნებართვა;

დ) „A“ და „B“ კატეგორიების სანებართვო მოწმობების ნომრები, გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა და სტატუსი;

ე) ნებართვის სახე (მიეთითება ნებართვის კატეგორია: „A“ ან „B“);

ვ) ნებართვის მფლობელის მიმართ შედგენილ საჯარიმო ქვითარში არსებული ინფორმაცია, მათ შორის, დარღვევის არსის მითითებით.

6. ერთიან საინფორმაციო ბაზაში ნებართვის შესახებ ან/და სანებართვო პირობების დარღვევისთვის ნებართვის მფლობელისთვის შედგენილი საჯარიმო ქვითრის შესახებ ინფორმაციები უნდა აისახოს დაუყოვნებლივ.

მუხლი 10. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეუძლია ნებართვის გამცემს, საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილ შემთხვევებში.

2. ნებართვის გამცემი არ გასცემს „B“ კატეგორიის ნებართვას, თუ ნებართვის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის წინასწარ არ გადაიხდის ნებართვის გაცემის ფასს, გადახდილი ნებართვის გაცემის ფასი არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 11. სანებართვო პირობები

1. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) მომსახურების გაწევა განახორციელოს ნებართვაში დამატებული სატრანსპორტო საშუალებით და მძღოლ(ებ)ით;

ბ) მომსახურების გაწევისას გამოიყენოს ამ წესის დანართი 6-ით გათვალისწინებული ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის მანათობელი ნიშანი მასზე დატანილი შავი ფერის წარწერით „TAXI თბილისი“ (შემდგომში – მანათობელი ნიშანი);

გ) მომსახურების გაწევისას მანათობელი ნიშანი განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილის (სახურავის) შუა ადგილზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა), რა დროსაც მანათობელი ნიშანი შეიძლება განთავსდეს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილზე (სახურავზე);

დ) სანებართვო საქმიანობის განხორციელებისას, მანათობელ ნიშანზე ჩართული იყოს მწვანე ფერი იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი არ ჰყავს, ხოლო წითელი ფერი იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი ჰყავს ან გამოძახებულია მგზავრის მიერ. ამასთან, თუ არ ახორციელებს სანებართვო საქმიანობას, მანათობელი ნიშანი უნდა ჰქონდეს გამორთულ მდგომარეობაში;

ე) მომსახურების გაწევისას სატრანსპორტო საშუალება ვიზუალური შემოწმებით უნდა აკმაყოფილებდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ისე რომ შემმოწმებელი ახდენდეს დადგენილ მოთხოვნებთან აშკარა და ვიზუალურად ნათლად გამოკვეთილი შეუსაბამობის იდენტიფიცირებას, რომლის აღქმაც შესაძლებელია ნებისმიერი პირის მიერ და დაკავშირებული არ არის სპეციალურ/ექსპერტულ ცოდნასთან. ამასთან, ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების ძარის ყველა ელემენტი, მათ შორის ბამპერი უნდა იყოს თეთრი ფერის, გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა);

ვ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე ამ წესის დანართი 4-ით და დანართი 5-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა მსუბუქ ავტომობილზე – ტაქსზე (M_1 კატეგორია) არ ჰქონდეს სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (მათ შორის: მუნიციპალიტეტის, ქალაქის, რაიონის, ქუჩის აღმნიშვნელი და სხვა);

ზ) უზრუნველყოს ამ წესით დანართი 7-ით დამტკიცებული მძღოლის მოწმობის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ;

თ) რეკლამა განათავსოს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, ამ წესის დანართი 5-ის შესაბამისად განსაზღვრულ ადგილებზე;

ი) შეასრულოს მსუბუქ ავტომობილში – ტაქსში (M_1 კატეგორია) დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები;

კ) გადაიხადოს ნებართვის გაცემის ფასი ამ წესის შესაბამისად;

ლ) მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით უფლებამოსილია იმოძრაოს იმ გზაზე, რომელიც დადგენილია ამ წესის შესაბამისად და სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია, ამასთან, როგორც წესი, უზრუნველყოფილია ამავე კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნით.

2. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) უზრუნველყოს ამ წესით დანართი 8-ით დამტკიცებული მძღოლის მოწმობის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ;

ბ) უზრუნველყოს მხოლოდ იმ მგზავრის აყვანა, რომლის მომსახურების მიზნით მივიდა გამოძახების ადგილზე;

გ) შეასრულოს მსუბუქ ავტომობილში – ტაქსში (M_1 კატეგორია) დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები.

3. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება სატრანსპორტო საშუალებაზე/საშუალებაში ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება. „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება რეკლამის განთავსება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვაში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებაზე იმავდროულად გაცემულია „A“ კატეგორიის ნებართვაც.

4. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, დარღვეული სანებართვო პირობა უნდა გამოსწორდეს 72 საათის ვადაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა, რა დროსაც დარღვეული სანებართვო პირობა უნდა გამოსწორდეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

5. „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელისთვის მანათობელი ნიშნის გაცემა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგენილი წესით და გაცემის საფასური განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერვე.

6. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისას ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულების ვალდებულება.

მუხლი 12. ნებართვის მფლობელის უფლება-მოვალეობები

1. ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

ა) ნებართვის გამცემს წარუდგინოს წინადადებები მომსახურების უკეთესად ორგანიზების შესახებ;

ბ) „A“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში გაასხვისოს, სარგებლობის უფლებით გადასცეს (იჯარა, ქირავნობა), უფლებრივად დატვირთოს (გირავნობა) ნებართვა;

გ) ისარგებლოს მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებით.

2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ წესით დადგენილი სანებართვო პირობ(ებ)ი;

ბ) დარღვეული სანებართვო პირობა გამოასწოროს ამ წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში, ხოლო გამოუსწორებლობისას:

ბ.ა) დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას;

ბ.ბ) გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება გამოსწორებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმა გასამმაგდება და ნებართვის მფლობელს ისევ განესაზღვრება დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ვადა;

ბ.გ) სამმაგი ჯარიმის გასამმაგების დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობის შესრულება, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიიღოს ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება, ხოლო მასზე დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებაში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა;

დ) არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა;

ე) არ მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საგნების გადაზიდვა;

ვ) არ დაუშვას მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხმა ტაქსის მარცხენა მხარეს განლაგებული კარებიდან;

ზ) არ მოახდინოს მგზავრ(ებ)თან შეთანხმების გარეშე სხვა მგზავრ(ებ)ის გადაყვანა;

თ) ტაქსის სალონში ან/და საბარგულში დარჩენილი ნივთები ჩააბაროს დაკარგული ნივთების ბიუროში ან შესაბამისი რაიონის პოლიციაში;

ი) ხელი შეუწყოს კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს მუშაობაში;

კ) წარუდგინოს ნებართვის გამცემს ყველა საჭირო ინფორმაცია ნებართვის გამოყენების შესახებ ნებართვის გამცემის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 13. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობები

ნებართვის გამცემი:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და ამ წესის შესაბამისად გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას;

ბ) აწარმოებს უწყებრივ სანებართვო რეესტრს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას;

დ) „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელის სურვილის შემთხვევაში შეიტანს შესაბამის ცვლილებას ნებართვაში, თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე შეცვლის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს);

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ წესის შესაბამისად ახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობ(ებ)ის შესრულებაზე;

ვ) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს აეროპორტთან, სადგურებთან და სავაჭრო ცენტრებთან (კომერციულ ობიექტებთან) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) გასაჩერებელ ადგილს, მხოლოდ „A“ კატეგორიის ნებართვების მფლობელებისთვის.

ზ) ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დარღვევისას მოქმედებს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. სანებართვო მოწმობაში ცვლილების განხორციელება

1. „A“ კატეგორიის სანებართვო მოწმობაში ნებისმიერი მონაცემის (ნებართვის მფლობელის, უფლებამოსილი მძღოლის და ავტოსატრანსპორტო საშუალების) ცვლილების განხორციელება დასაშვებია და საფასური თითოეული ცვლილებისათვის განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით.

2. სანებართვო მოწმობაში ცვლილება განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ნებართვის მფლობელს არ აქვს ნებართვის გაცემის ფასის დავალიანება.

მუხლი 15. ნებართვის მოქმედების ვადა

1. „A“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა უვადოდ.

2. „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, ერთი წლის ვადით.

3. ნებართვები ძალაშია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათ გაუქმებამდე.

მუხლი 16. სანებართვო და მძღოლის მოწმობების ფორმები და რეკვიზიტები

1. „A“ კატეგორიის სანებართვო მოწმობის ფორმა ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირისთვის განისაზღვრება ამ წესის დანართი 1-ის შესაბამისად.

2. „A“ კატეგორიის სანებართვო მოწმობის ფორმა ნებართვის მფლობელი იურიდიული პირისთვის განისაზღვრება ამ წესის დანართი 2-ის შესაბამისად.

3. „B“ კატეგორიის სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად.

4. „A“ კატეგორიის ნებართვით მგზავრთა მომსახურებისას სატრანსპორტო საშუალებაში განსათავსებელი მძღოლის მოწმობის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 7-ის შესაბამისად.

5. „B“ კატეგორიის ნებართვით მგზავრთა მომსახურებისას სატრანსპორტო საშუალებაში განსათავსებელი მძღოლის მოწმობის ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 8-ის შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ფორმები დატანილი უნდა იქნას A5 ფორმატის ზომის ქაღალდზე.

მუხლი 17. ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი

ნებართვის გაცემის ფასი „A“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში გადაიხდევინება ამ წესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ხოლო „B“ კატეგორიის ნებართვის შემთხვევაში - ნებართვის გაცემამდე, სისტემაში შექმნილი ინვოისების საფუძველზე.

მუხლი 18. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებენ ნებართვის გამცემი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^4 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილნი არიან კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელონ შემოწმება;

ბ) სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელონ შემოწმება. ამასთან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა;

გ) დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობისას ასამმაგებენ დაკისრებულ ჯარიმას. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმა უფლებამოსილი პირების მიერ გასამმაგდება და ნებართვის მფლობელს ისევ განესაზღვრება დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ამ წესით დადგენილი ვადა. გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილებას, ხოლო დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება და ჯარიმის ან/და საურავის აღსრულება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო:

ა) „A“ კატეგორიის უვადო ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალებიდან არაუმეტეს 1 წლის (გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა) განმავლობაში, მემკვიდრის მიერ სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, განიხილავს მას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ მემკვიდრეს გაუაქტიურებს უვადო ნებართვას;

ბ) ელექტრონულ მისამართზე www.taxi.tbilisi.gov.ge არსებული ინფორმაციის საფუძველზე გასცემს მოთხოვნილ ინფორმაციას, ცნობას და სხვა დოკუმენტაციას (გარდა ფინანსური ნაწილისა) კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ნებართვის მაძიებლების ან ნებართვის მფლობელების მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს მათთან შეხვედრებს;

დ) უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში და ახორციელებს წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საქმიანობას;

ე) უზრუნველყოფს უწყებრივი სანებართვო რეესტრიდან მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის გაცემას და „B" კატეგორიის ნებართვის მფლობელის სურვილის შემთხვევაში საფასურის გადახდის გარეშე, შესაბამის ნებართვაში შეიტანს ცვლილებას, თუ მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე შეცვლის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს);

ვ) სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში ადგენს საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება:

ვ.ა) დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე ინფორმაციის სამართალდამრღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია;

ვ.ბ) საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული თანხის შეღავათით სარგებლობისა და გადახდის პროცესების მართვა;

ვ.გ) სამართალდამრღვევი პირისთვის საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაგზავნისა და ჩაბარების პროცესის მართვა;

ვ.დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების პროცესის მართვა;

ვ.ე) საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას საქმის გადაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში;

ვ.ვ) სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმისა ან/და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ.ზ) საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვითრის აღსრულების მოქმედების შეჩერება;

ზ) უფლებამოსილია შეადგინოს საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა), რომელიც დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, აისახება ზემოაღნიშნულ სისტემაში.

4. სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ი საჩივრდება სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. „A“ კატეგორიის ნებართვა უქმდება:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნით;

ბ) სანებართვო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის;

გ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალების (ლიკვიდაციის), დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ნებართვის მფლობელისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

3. „B“ კატეგორიის ნებართვა ვადის გასვლამდე უქმდება:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალების, დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადების, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) თუ ნებართვის მფლობელს აღარ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება (მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტის (გაუქმების) გამო). ამ შემთხვევაში ნებართვის გამცემი ვალდებულია უფლებამოსილი ორგანოდან აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე უზრუნველყოს ნებართვის გაუქმება მხოლოდ ამ ნებართვის მფლობელისთვის;

დ) თუ ნებართვის მფლობელი აღარ არის იმ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, რომელზეც გაიცა ნებართვა;

ე) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისას, როდესაც იცვლება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე;

ვ) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის შემთხვევაში;

ზ) სანებართვო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის;

თ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;

ი) თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე გააუქმებს ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მის თანხმობას იმავე წესით, რითაც თანხმობას აცხადებს, ან სატრანსპორტო საშუალება აღარ იქნება მის საკუთრებაში;

კ) თუ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია ნებართვა და კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს გავლილი ტექნიკური ინსპექტირება ტაქსებისთვის დადგენილი პერიოდულობით ან ამ პერიოდულობის გავლამდე დაუფიქსირდა ტექნიკური ინსპექტირების გავლა, რომელიც დადებითად არ არის გავლილი;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის შემდეგ, სატრანსპორტო საშუალება ტექნიკურ ინსპექტირებას ექვემდებარება ტაქსისთვის დადგენილი პერიოდულობით, რომლის ათვლაც დაიწყება ზემოაღნიშნული ნებართვის გაცემის დღიდან. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს უუქმდება ნებართვა.

5. სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც ფიქსირდება საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის „B“ კატეგორიის ნებართვა, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის თაობაზე მოწმდება ყოველდღიურად ელექტრონულად 24:00 საათზე. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებას არ უფიქსირდება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითად გავლა, ასევე როდესაც გასულია ტაქსებისთვის განსაზღვრული პერიოდი, ელექტრონული სისტემის მიერ ხდება ნებართვის გაუქმება ელექტრონულად.

6. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დარღვეული სანებართვო პირობა გამოასწოროს ამ წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში, ხოლო გამოუსწორებლობისას:

ბ.ა) დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას;

ბ.ბ) გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება გამოსწორებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმა გასამმაგდება და ნებართვის მფლობელს ისევ განესაზღვრება დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ვადა;

ბ.გ) სამმაგი ჯარიმის გასამმაგების დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობის შესრულება, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიიღოს ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება, ხოლო მასზე დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ნებართვის გაუქმება ელექტრონულად ფორმდება მისი გამცემის მიერ ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge და ნებართვის მფლობელს ეცნობება მომხმარებლის პირად სივრცეში, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექტური შეტყობინებით და ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 20. უწყებრივი სანებართვო რეესტრი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. უწყებრივ სანებართვო რეესტრს აწარმოებს ნებართვის გამცემი.

2. ნებართვის გამცემს ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი გაუქმების შესახებ მონაცემები გადაწყვეტილების მიღებიდან მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

3. უწყებრივ სანებართვო რეესტრში ასევე შეიტანება:

ა) მონაცემები ნებართვის მფლობელის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი და მძღოლის მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი ადგილი;

ბ) იმ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი, რომელზეც გაცემულია ნებართვა;

გ) სანებართვო მოწმობის ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა;

დ) ნებართვის სახე.

4. ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გაეცნოს სანებართვო რეესტრის მონაცემებს და მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა უნებართვო საქმიანობისთვის

1. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

2. საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით (M_1 კატეგორია) გადაყვანისას უნებართვო საქმიანობად ჩაითვლება შესაბამისი ნებართვის გარეშე მგზავრის გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა ნებისმიერი დანიშნულებითა და მიზნით იმ შესაბამისი ნიშნით, რომელიც ტაქსის მაიდენტიფიცირებელი იქნება.

3. სატრანსპორტო საშუალებაზე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი იმ სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება, რომლის გამოც სატრანსპორტო საშუალება აღქმული იქნება ტაქსად, აგრეთვე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნით ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალებით (ნიშნით) გზებზე მოძრაობა ჩაითვლება უნებართვო საქმიანობად.

მუხლი 22. ერთიანი საინფორმაციო ბაზით უზრუნველყოფა

1. ამ წესის მოთხოვნების დაუცველობისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^4 მუხლით საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ერთიანი საინფორმაციო ბაზის მეშვეობით ახორციელებენ კონტროლს ამ დადგენილებით განსაზღვრული და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე.

2. საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემა დასაბუთებული მოთხოვნისას

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განსაზღვრული წესის შესაბამისად გასცეს „A“ კატეგორიის ნებართვები, განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 24. სადავო საკითხების მოგვარება

1. ნებართვის გაცემასთან და სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.

2. სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ სანებართვო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. სანებართვო პირობების დარღვევასთან და უნებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ხოლო სააგენტოს მიერ საჩივარზე მიღებული დადგენილება - სასამართლოში.

4. ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობისას, აღნიშნული თანხის ამოღების მიზნით სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

წესის დანართი 1

#TBA0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის A კატეგორიის სანებართვო მოწმობა

A CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

ნებართვის მფლობელი/Licence Holder

სახელი/Name:

გვარი/Surname:

პირადი ნომერი/Personal Number:

გააქტიურების თარიღი/Date of activation:

ნებართვის გამცემი/Issuing Authority:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
(LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

#TBA0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის A კატეგორიის სანებართვო მოწმობა

A CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

ნებართვის მფლობელი/Licence Holder

სამართლებრივი ფორმა/Legal Form:

სახელწოდება/Name:

საიდენტიფიკაციო ნომერი/Identification number:

გააქტიურების თარიღი/Date of activation:

ნებართვის გამცემი/Issuing Authority:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
(LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

#TBB0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის B კატეგორიის სანებართვო მოწმობა

B CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

ნებართვის მფლობელი/Licence Holder

სახელი/Name:

გვარი/Surname

პირადი ნომერი/Personal Number

ავტომობილი/Vehicle

მწარმოებელი/Manufacturer

მოდელი/Model

სახელმწიფო ნომერი/Registration Number

გაცემის თარიღი/Date of issue:

მოქმედების ვადა/valid till:

ნებართვის გამცემი/Issuing Authority: სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

წესის დანართი 5



წესის დანართი 6



მძღოლის მოწმობა/DRIVER LICENCE **#TBA0000000**

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის A კატეგორიის მძღოლის მოწმობა

A CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA



მძღოლი/Driver

სახელი/Name

გვარი/Surname

დაბადების თარიღი/Date of birth

ავტომობილი/Vehicle

მწარმოებელი/Manufacturer

მოდელი/Model

ფერი/Colour

სახელმწიფო ნომერი/Registration Number

გააქტიურების თარიღი/
Date of activation:

ნებართვის გამცემი/
Issuing Authority:

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

მძღოლის მოწმობა/DRIVER LICENCE

#TBB0000000

საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის B კატეგორიის მძღოლის მოწმობა

B CATEGORY LICENCE FOR CARRYING THE PASSENGERS WITH A PASSENGER CAR-TAXI (M_1 CATEGORY) WITHIN THE ADMINISTRATIVE BORDERS OF THE CAPITAL OF GEORGIA

მძღოლი/Driver

სახელი/Name

გვარი/Surname

დაბადების თარიღი/Date of birth

ავტომობილი/Vehicle

მწარმოებელი/Manufacturer

მოდელი/Model

ფერი/Colour

სახელმწიფო ნომერი/Registration Number

გაცემის თარიღი/Date of issue:

მოქმედების ვადა/valid till:

ნებართვის გამცემი/
Issuing Authority:
სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (LEPL Tbilisi Transport and Urban Development Agency)

„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

2018 წლიდან დაიწყო რეგულაციების დაწესება მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტისთვის, როგორიცაა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანა, რომელიც სრულ სტაგნაციაში იმყოფებოდა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მიღებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილება (შემდგომში - №24-80 დადგენილება) „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ტაქსების რეფორმა მტკივნეულად არ ასახულიყო მომავალ ნებართვების მფლობელებზე, იგი დაიგეგმა რამდენიმე ეტაპად. 2018 წელს დაწყებულ პირველ ეტაპზე ნებართვა გაიცემოდა ფიზიკურ პირზე, ვინც აკმაყოფილებდა შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს: ჰქონდა ელექტრონული პირადობის მოწმობა შესაბამისი ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობით, შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და იყო M_1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან ჰქონდა იმავე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის თანხმობა სატრანსპორტო საშუალების ტაქსად გამოყენებაზე. ამ პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებდა ბევრ ღონისძიებას, რომლითაც სარგებლობის საშუალება ჰქონდა ტაქსის მძღოლს და აღნიშნული ემსახურებოდა იმას, რომ მძღოლებისათვის ფინანსურად ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო მათი საქმიანობის სანებართვო პირობებში მოქცევა, კერძოდ მსურველებზე მერიის მიერ გაიცემოდა ქიმწმენდის და შეღებვის (რა დროსაც უფასოდ ხდებოდა ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობაში ფერის ცვლილება) ვაუჩერები, ხოლო 2019 წელს დაწყებულ ტაქსების რეფორმის მეორე ეტაზე ასევე ნებართვის მფლობელზე ერთჯერადად და უსასყიდლოდ გაიცემა ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მეორე ეტაპზე დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვები დაიყო ორ კატეგორიად („A“ და „B“). „A“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა მარცხენასაჭიანი სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არის თეთრი და 5 კარიანი, ხოლო „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებისმიერი ფერის მარცხენასაჭიან სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც აქვს 5 კარი. ზემოაღნიშნული კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდება შემდეგი პირობებით: „A“ კატეგორიის ტაქსების მძღოლებს უფლება აქვთ ისარგებლონ უფასო პარკირების ადგილებით როგორც ზონალურ, ისე დროის მონაკვეთით განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე, ტაქსის აღმნიშვნელი მანიშნებელი მიიღონ ერთჯერადად უსასყიდლოდ, აიყვანონ მგზავრი ქუჩიდან, ტაქსზე განათავსონ რეკლამა და მიიღონ შემოსავალი, ასევე შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ აპლიკაციის მეშვეობით, ხოლო „B“ კატეგორიის ტაქსების მძღოლებს მხოლოდ აპლიკაციის მეშვეობით, ნებისმიერი ფერის სატრანსპორტო საშუალებით მუშაობის უფლება აქვთ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმა მუდმივად განახლებადი პროცესია, იწყება

რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც 2023 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში და ითვალისწინებს:

- ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით "ერთ პირს - ერთი ნებართვა", უსასყიდლოდ გადაეცეთ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები, რომლის ამოქმედებისთვის შესაბამის ფიზიკურ პირს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველ აპრილამდე შეეძლება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით გაიაქტიუროს „A“ კატეგორიის ნებართვა, ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უწყდება ნებართვის გააქტიურების უფლება და არ ექნება უსასყიდლო ნებართვით სარგებლობის უფლება;

- 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათ მიმართ გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

- 2023 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდება სრულიად ახალი გამართული ელექტრონული სისტემა (taxi.tbilisi.gov.ge) და ამ სისტემის განახლების გამო 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ახალი ნებართვები არ გაიცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდება ნებართვების გაცემა №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- 2023 წლის პირველი ივლისიდან დაიწყება იურიდიულ პირებზე ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია და მათ მიეცემათ ამ კატეგორიის ნებართვების ფლობის უფლება №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- ყალიბდება „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ახალი წესი და მასთან დაკავშირებული სხვა ფინანსური რეგულაციები, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ იცვლება ნებართვის გაცემის ფასის ოდენობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შედის №24-80 დადგენილებაში, რის გამოც მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით იცვლება დადგენილების სათაური და თავიდან ყალიბდება დადგენილების დანართით დამტკიცებული წესი, სადაც:

- იცვლება წესის სათაური;

- ემატება ტერმინი მომხმარებლის პირადი სივრცე;

- წესის მოქმედი რედაქციით ნებართვის გამცემად განსაზღვრული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი, ხოლო ახალი რედაქციით ნებართვის გამცემად ცალსახად დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო;

- ტერმინი „ერთიანი საინფორმაციო ბაზა“ ახალი რედაქციით არის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა, რომელზეც წვდომა აქვს ნებართვის გამცემს (შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს) და სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ პირებს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინონ საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები; ამასთან, მუხლში, რომელიც ითვალისწინებს კონტროლს სანებართვო პირობების შესრულებაზე დეტალურად არის გაწერილი უფლებამოსილი პირების უფლება-მოვალეობანი;

- სრულიად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით ხდება ნებართვის მაძიებლის მიერ რეგისტრაციის გავლა და ნებართვის მიღება ან შეძენა. ამასთან, პირს, რომელიც არ არის ნებართვის მფლობელი, შეუძლია დარეგისტრირდეს შესაბამის ელექტრონულ მისამართზე მომხმარებლის პირად სივრცეში „A“ კატეგორიის ნებართვის შეძენის ან სარგებლობაში მიღების მიზნით;

- ვინაიდან „A“ კატეგორიის ნებართვის მიღების უფლება ფიზიკურ პირებთან ერთად 2023 წლის პირველი ივლისიდან ეძლევათ იურიდიულ პირებსაც, ცალკ-ცალკე ყალიბდება ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირების და იურიდიული პირების მიერ ელექტრონულ მისამართზე პროცედურების გავლის პრინციპები;

- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე ემატება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილები და პირობები, სადაც სხვა პირობებთან ერთად დაფიქსირებულია, რომ გზაზე, სადაც „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის მე-5 თავით „განსაკუთრებული მითითებების ნიშნები“ დადგენილი 5.14 საგზაო ნიშნით აღნიშნული სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლია და იგი უზრუნველყოფილია ამავე კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული 1.10 ჰორიზონტალური მონიშვნით, დასაშვებია მხოლოდ “A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომა. დღეის მდგომარეობით დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასეთი ადგილებია:

ჯავახეთისა და სუხიშვილის ქ-ის გადაკვეთის პირდაპირ;
საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ;
ვარკეთილის ზ/პლატო, II მ/რ, №10 კორპუსის პირდაპირ (ჯავახეთის ქ. №66);
ჯავახეთის ქ. №10;
მ/ს ,,ვარკეთილი"-ს (მიმდებარედ);
მ/ს ,,ვარკეთილი" (ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქუჩის გადაკვეთასთან);
გმირთა მოედანი (კოსტავას ქ.№63)(საბურთალოს მიმართულებით);
გმირთა მოედანი (კოსტავას ქ.№63-ის მიმდებარედ)(ვაკის მიმართულებით);
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპ. (კოსტავას ქ. №69);
სპორტის სასახლე;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV კორპ.;
სააკაძის მოედანი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსის მიმდებარედ);
ანა კალანდაძის ქ. №1 (მიმდებარედ);
ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმართისა და ღვინის აღმართის გადაკვეთის მიმდებარედ;
დიღმის I კვ. IIIა/IIIბ კორპუსი;
რობაქიძისა და პაიჭაძის ქუჩების გადაკვეთის პირდაპირ;
პოლიციის სამმართველო;
დიღმის II კვ. VIIა კორპუსი;
დიღმის II კვ. VII კორპუსის მიმდებარედ;
დიღმის მასივი III კვ. IV კორპუსი;
დიღმის მასივი III კვ. I კორპუსი;
რობაქიძის გამზირისა და პაიჭაძის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;
რობაქიძის ქ., დიღმის მასივი, VI კვ, კორპუსი №22 (,,თეგეტა მოტორსი");
ქაშვეთის ეკლესია (რუსთაველის გამზ.);
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (რუსთაველის გამზ. №21);
რუსთაველის გამზ. №26;
№1 გიმნაზია (რუსთაველის გამზ.);
მ/ს "თავისუფლების მოედანი";
მელიქიშვილის გამზირი №14 (სასტუმრო "საქართველო");
მელიქიშვილის გამზირი №2 (51-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ);
26 მაისის მ-ნი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსის მიმდებარედ);
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპუსის მოპირდაპირედ;
ზოოპარკი;
კოსტავას ქ. №47-ის მიმდებარედ;
ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა №2-ის მიმდებარედ;
ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა№4-ის მიმდებარედ;
ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა №2-ის მოპირდაპირედ;

ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა №4-ის მოპირდაპირედ;
კუს ტბის ასახვევი (ჭავჭავაძის გამზირი);
ვაკის საცურაო აუზის მოპირდაპირედ;
სპორტის აკადემიის პირდაპირ (ჭავჭავაძის გამზირი);
თაყაიშვილისა და ალექსიძის ქუჩების გადაკვეთა (ვარკეთილი 3-ის II მ/რ, №14 კ-ის მიმდებარედ);
ვარკეთილი 3-ის II მ/რ, №18 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის II მ/რ, №39 კორპუსის მიმდებარედ (პოლიციის მოპირდაპირედ);
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №421 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №417 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №410 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №403 კორპუსის მიმდებარედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №403 კორპუსის მოპირდაპირედ;
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №410 კორპუსის მოპირდაპირედ (ვარკეთილის მე-3 ,,ა" მ/რ, კორპუსი №345-ის მიმდებარედ);
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №417 კორპუსის მოპირდაპირედ (180-ე საჯარო სკოლა);
ვარკეთილი 3-ის IV მ/რ, №421 კორპუსის მოპირდაპირედ;
ვარკეთილი 3-ის IIIა მ/რ, №319ა კორპუსის მიმდებარედ (დვალის ქუჩის გადაკვეთასთან, პოლიციის მიმდებარედ);
ვარკეთილი III მ/რ, №313 კორპუსთან (თაყაიშვილისა და სუხიშვილის ქუჩების გადაკვეთა);
ჟიული შარტავას ქუჩა №33-ის მიმდებარედ;
ჟიული შარტავას ქუჩა №44-ის პირდაპირ;
გორგასალის ქ. №7-ის მიმდებარედ (რესტორანი “მასპინძელო”-ს მიმდებარედ) ;
გორგასალის ქ. №19;
გორგასლის IV შესახვევის გადაკვეთა;
,,300 არაგველის მემორიალი" (მოპირდაპირედ);
გორგასალის ქუჩა №37-ის მიმდებარედ გრიშაშვილის ქუჩის გადაკვეთის შემდეგ;
გორგასლის ქ. №39;
გორგასლის ქ. №57-ის მიმდებარედ (ორთაჭალის ქუჩის გადაკვეთასთან);
გორგასალის ქუჩისა და გორგასალის II შესახვევის გადაკვეთის მიმდებარედ (პროკურატურის შენობის მოპირდაპირედ);
ჟიული შარტავას ქუჩა №7-ის მიმდებარედ;
ზურაბ ანჯაფარიძისა და პოლიტკოვსკაიას ქ-ის გადაკვეთა (პოლიტკოვსკაიას ქუჩის დასაწყისამდე);
ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, კორპუსი №21-22-შორის;
ქეთევან დედოფლის გამზირი №3-5-ის მიმდებარედ;
ქეთევან დედოფლის გამზირი №26-ის მოპირდაპირედ);
ქეთევან დედოფლის გამზირი №43 (89-ე საჯარო სკოლის მოპირდაპირედ);
მ/ს ,,300 არაგველი"-ს მოპირდაპირედ (ქეთევან წამებულის გამზირი);
ქეთევან დედოფლის გამზირი №57 (96-ე საჯარო. სკოლა);
ქეთევან დედოფლის გამზირი №62-64-ის მიმდებარედ (96-ე საჯარო სკოლის მოპირდაპირედ;
მ/ს ,,300 არაგველი"-ის მიმდებარედ ქეთევან დედოფლის გამზირი);
ქეთევან დედოფლის გამზირი №43-ის მოპირდაპირედ (89-ე საჯარო სკოლა);
ქეთევან დედოფლის გამზირი №26 (უსინათლოთა სკოლა, ფარნავაზ მეფის ძეგლის მოპირდაპირედ
მ/ს ,,ავლაბარი"-ს მიმდებარედ (ავლაბრის მოედანი);
თამარაშვილის გამზირი №11-ის მიმდებარედ;
თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩის გადაკვეთის პირდაპირ (ყოფილი იპოდრომის შესასვლელის მიმდებარედ);
თამარაშვილის გამზირი №19-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №5-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №4-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №12-ის მიმდებარედ;
თამარაშვილის გამზირი №6-ის მიმდებარედ;

თამარაშვილის გამზირი №13დ-ს მოპირდაპირედ;
თამარაშვილის გამზირის და გიორგი წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ;
ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ჰუალინგის დასახლება კორპუსი №7-ის მიმდებარედ;
ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ჰუალინგის დასახლება კორპუსი №26-ის მიმდებარედ;
ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, ვარკეთილის მე-4 მ/რ, კორპუსი №404-ის მიმდებარედ;
თამარ მეფის გამზირი, პროკრედიტ ბანკი (დავით აღმაშენებლის გადაკვეთა);
თამარ მეფის გამზირი, რკინიგზის დეპარტამენტი (თამარ მეფის გამზ. №15);
თამარ მეფის გამზირი №31-ის მიმდებარედ;
თამარ მეფის გამზირი №28-30-ის მიმდებარედ;
თამარ მეფის გამზ. №14ა-მიმდებარედ (წინამძღვრიშვილის გადაკვეთა);
თამარ მეფის გამზ. №2 (დავით აღმაშენებლის გადაკვეთასთან);
დანიური სახლის მოპირდაპირედ (დავით აღმაშენებლის გამზირი #№164-ის მიმდებარედ);
თამარ მეფის გამზირისა და მერაბ ალექსიძის ქ.-ის გადაკვეთა;
ჯავახეთის ქ. №21-ის მიმდებარედ (კალოუბნის და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთა);
დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, მირიან მეფის ქუჩა №100-ის მიმდებარედ;
დიდი დიღომი III მ/რ, №15 კორპუსის მოპირდაპირედ (მირიან მეფის 90 ა);
დიდი დიღომი III მ/რ, მირიან მეფის ქუჩა №68ა-ს მიმდებარედ;
დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №46-ის მიმდებარედ;
დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №26-ის მიმდებარედ;
დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №4-ის მიმდებარედ;
მირიან მეფისა და ვეფხვის ტყაოსნის ქუჩების გადაკვეთა (ჰიპერმარკეტ "გუდვილი"-ს პირდაპირ);
მირიან მეფისა და დავით აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთის მიმდებარედ;
მირიან მეფისა და ფარნავაზ მეფის გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ;
დიდი/დიღომი III მ/რ, მირიან მეფის ქუჩისა და ნესტან დარეჯანის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №41-ის მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №16ა-ს მიმდებარედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №16ა-ს მოპირდაპირედ;
პეტრე იბერის ქუჩა, დიდი დიღომი პირველი მ/რ, კორპუსი №41-ის მოპირდაპირედ;

- ახლებურად არის ჩამოყალიბებული მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმებას.

პროექტში სახაზინო კოდი მითითებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №11-01182122962 წერილის (თან ერთვის) შესაბამისად, რომლის მიხედვით საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მაძიებელი, ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტში. შემოსულობების ზუსტი აღრიცხვისა და მონიტორინგისათვის, „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში მიმდინარე წლის 31 აგვისტოს №286 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დამატებით განისაზღვრა შემოსულობების სახაზინო კოდი – 300773103.

დადგენილების პროექტი, პოზიციის დაფიქსირებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01-01230532018 წერილით გადაგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომლის №MIA 0 23 00725673 წერილის (თან ერთვის) შესაბამისად დაკორექტირდა პროექტი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2023 წლის ------ ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების:

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები:
„ტ) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური;
უ) სანებართვო-ანალიტიკური სამსახური.“.

2. მე-8 მუხლის:
ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მომზადებული პროექტების სამართლებრივი ანალიზი;
გ) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი განმარტებების მომზადება;
დ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტოს მიერ მომზადებული სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

ე) სააგენტოს უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე სააგენტოს წარმომადგენლობა სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება;

ვ) სასამართლოს/ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებების ჩატარება სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ერთად;

ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

თ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა), 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საურავების დარიცხვის შესახებ დადგენილებების პროექტებისა და ზემოაღნიშნული მუხლებით, აგრეთვე 134^1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სააღსრულებლო ფურცლების პროექტების მომზადება და მათ გამოცემაზე უფლებამოსილი პირისთვის წარდგენა;

ი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა), 134^1-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის გაგზავნა, ასევე სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაგზავნა;

კ) სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის მიერ დაარქივებული და მოწოდებული ვიდეოჩანაწერის ან/და ფოტოფირის გაცემის უზრუნველყოფა;

ლ) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის მიწოდება;

მ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.“;

ბ) მე-9 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“;

გ) მე-10 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;

დ) მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით და 135^4 მუხლით

გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა“;

ე) მე-10 პუნქტს, „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“;

ვ) მე-15 პუნქტს, „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]“ და „თ[2]“ ქვეპუნქტები:

„თ[1]) სააგენტოს მიერ უფლებამოსილების ფარგლებში დაჯარიმებული ან/და სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცემა სააგენტოს ცხელი ხაზის -1398 მეშვეობით;

თ[2]) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“;

ზ) მე-17 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები;

თ) მე-18 პუნქტს, „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:

„გ[1]) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;“.

3. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 და მე-20 პუნქტები:

„19. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) გზაზე, საგზაო ნაგებობაზე, მიწისქვეშა კომუნიკაციაზე ან რკინიგზის გადასასვლელზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე, ან ამ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას სატრანსპორტო საშუალების გზაზე განლაგებაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან სააგენტოს მიერ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) ერთად შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (მათ შორის, დროებითის) გარეშე ან სქემის (მათ შორის, დროებითის) დარღვევისას კონტროლის გაწევა - მათ შორის: ობიექტი შემოფარგლულია თუ არა დამცავი ღობით და ქვეითთა მოძრაობის ადგილებში შემოღობვა გადახურულია თუ არა დამცავი საფარით; განთავსებულია თუ არა შესაბამისი (შუქამრეკლი) საგზაო ნიშნები ან/და დატანილია დროებითი ჰორიზონტალური მონიშვნები; აკონტროლებს თუ არა საავტომობილო საშუალებების მოძრაობას სპეციალურად გამოყოფილი პერსონალი (მედროშე) იმ პირობით, თუ ეს სქემით არის განსაზღვრული; ღამის პერიოდში მუშაობს თუ არა მაშუქი ციმციმა; ბეტონის მიწოდებისათვის მიქსერ(ებ)ის ან/და ბეტონდამჭირხნ(ებ)ის გამოყენების შემთხვევაში დაცულია თუ არა მათი განლაგებისას სქემა და ა.შ.;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ სააგენტოს წერილობითი მითითების შეუსრულებლობაზე კონტროლის გაწევა;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134[1] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;

დ) დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) თაობაზე ინფორმაციის სამართალდამღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის/დადგენილების ორჯერ ჩაუბარებლობისას საჯარიმო ქვითრის დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადება ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge;

ვ) უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ მოქმედი სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ზ) სანებართვო-ანალიტიკური სამსახურისთვის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება;

თ) სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge და სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განახლების უზრუნველყოფა;

ი) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.

20. **სანებართვო-ანალიტიკური სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:**

ა) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გასაცემად სათანადო დოკუმენტების მომზადება და შესაბამისი სანებართვო რეესტრის წარმოება; სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე (გარდა ფინანსურისა) საჭიროების შემთხვევაში ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა, ინფორმაციების გამოთხოვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა, ნებართვაში ცვლილების შეტანა და ნებართვის გაუქმება ელექტრონული მისამართის: www.taxi.tbilisi.gov.ge-ს მეშვეობით;

გ) „A“ კატეგორიის უვადო ნებართვის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალებიდან არაუმეტეს 1 წლის (გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა) განმავლობაში, მემკვიდრის მიერ სააგენტოსთვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში მისი განხილვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება მემკვიდრისთვის უვადო ნებართვის გააქტიურების მიზნით;

დ) ელექტრონულ მისამართზე www.taxi.tbilisi.gov.ge არსებული ინფორმაციის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის, ცნობის და სხვა დოკუმენტაციის (გარდა ფინანსური ნაწილისა) გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) ნებართვის მაძიებლის ან ნებართვის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მათთან შეხვედრების უზრუნველყოფა;

ვ) სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) უწყებრივი სანებართვო რეესტრიდან მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა და „B" კატეგორიის ნებართვის მფლობელის სურვილის შემთხვევაში საფასურის გადახდის გარეშე, შესაბამის ნებართვაში ცვლილების შეტანა, თუ მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე შეცვლის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს);

თ) სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols);

ი) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა);

კ) სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელონ შემოწმება; ამასთან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა;

ლ) დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობის შეუსრულებლობისას დაკისრებული ჯარიმის გასამმაგება. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ იგივე სანებართვო პირობა კვლავ არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული სამმაგი ჯარიმის კვლავ გასამმაგება და ნებართვის მფლობელისთვის დარღვეული სანებართვო პირობის გამოსასწორებლად ამ წესით დადგენილი ვადის ისევ განსაზღვრა. გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, თუ ნებართვის მფლობელის მიერ ისევ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება, ხოლო დაკისრებული ნებართვის გაცემის ფასის ამოღება და ჯარიმის ან/და საურავის აღსრულება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 134^1-135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე მათი გაცემა და საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;

ნ) უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ მოქმედი სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურიდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის გაცემა;

პ) იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ „ოპერატიულ-

სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები, აგრეთვე „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე სპეციალური საშვის გაცემა;

ჟ) უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის სამგზავრო პლასტიკური ბარათის ან ელექტრონული გადახდის საშუალების სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვისას ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას განბლოკვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განბლოკვა ან შესაბამისი დოკუმენტის მომზადება განბლოკვაზე უფლებამოსილი პირისთვის გადაგზავნის მიზნით;

რ) სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან სტატისტიკური ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ერთიანი ანალიზის მომზადება;

ს) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.“.

4. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში სამსახურის უფროსის მოვალეობას, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმის მესამე ეტაპი იწყება, რომელიც 2023 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში და ითვალისწინებს:

- ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით “ერთ პირს - ერთი ნებართვა”, უსასყიდლოდ გადაეცეთ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები, რომლის ამოქმედებისთვის შესაბამის ფიზიკურ პირს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველ აპრილამდე შეეძლება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით გაიაქტიუროს „A“ კატეგორიის ნებართვა, ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უწყდება ნებართვის გააქტიურების უფლება და არ ექნება უსასყიდლო ნებართვით სარგებლობის უფლება;

- 2023 წლის 20 მარტამდე გაცემული „A“ კატეგორიის ნებართვები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათ მიმართ გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები;

- 2023 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდება სრულიად ახალი გამართული ელექტრონული სისტემა (taxi.tbilisi.gov.ge) და ამ სისტემის განახლების გამო 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ახალი ნებართვები არ გაიცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდება ნებართვების გაცემა №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

- 2023 წლის პირველი ივლისიდან დაიწყება იურიდიულ პირებზე ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია და მათ მიეცემათ ამ კატეგორიის ნებართვების ფლობის უფლება №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

ზემოაღნიშნული საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ნებართვების გამცემ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დაემატოს ახალი სტრუქტურული ერთეული - სანებართვო-ანალიტიკური სამსახური, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება იქნება სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

2022 წლის ივნისიდან, მას შემდეგ რაც ამოქმედდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოების შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაჯარიმებას, გამოიკვეთა სამართალდარღვევათა ასეულობით შემთხვევა, რაც დღის წესრიგში აყენებს სააგენტოსთვის კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეულის - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურის შექმნის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული ცვლილებები იწვევს სააგენტოს ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებაში კორექტივების შეტანის აუცილებლობას.

ასევე მიზანშეწონილია სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში სამსახურის უფროსის მოვალეობა დაეკისროს ამ სამსახურის რომელიმე თანამშრომელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>დანართი 3</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2023 წლის --- ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კოდექსის 240^1 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საცნობი ნიშნის დაკარგვისას ან დაზიანებისას, მისი აღდგენის თხოვნით სააგენტოს წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით (შემდგომში - №33-99 დადგენილება) დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-12 პუნქტის მოქმედი რედაქციით „საცნობი ნიშნის დაკარგვისას, მისი აღდგენის თხოვნით სააგენტოს წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.“. არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი), რომელზე გაცემულია საცნობი ნიშანი, ამ ნიშნის გაცემაზე უფლებამოსილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართავს მისივე დაუდევრობით დაზიანებული საცნობი ნიშნის აღდგენის თხოვნით, რის გამოც საჭიროა №33-99 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დაემატოს დაზიანების შემთხვევები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №

2023 წლის --- ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016086) და დადგენილების 3^2 მუხლს, მე-3 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ვადიან სამგზავრო ბარათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დროის მონაკვეთის მიხედვით დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების 3^2 მუხლით განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას, ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფების/ფასის გადახდა, მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ გადახდის სხვა საშუალებებთან ერთად, შესაძლებელია ვადიანი სამგზავრო ბარათით, აგრეთვე დადგინდა ვადიანი სამგზავრო ბარათის ღირებულება დროის მონაკვეთის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია შეძენილ ბარათებზე დარიცხული თანხის უკან დაბრუნების მომართვიანობის შემთხვევები, მიზანშეწონილია აღნიშნულ წესში დაფიქსირდეს, რომ მსგავსი ფაქტების არსებობისას დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის საჭირო მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საკუთარი შემოსავლებიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.